# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 31 ივლისი 2008 №175 (3399) ფასი 50 თეთრი


# ფეხბურთი სულაც არ არის რთული

## კუპერს ქართული ფეხბურთის გასაშიფრად 47 საათი სჭირდება. პანათინაიკოსს დინამოსთვის ნაკლები დრო ეყო



## ხელისუფლებამ კუპერის უფლება ბრძანა

ფიზმომზადების იტალიელი მწვრთნელი, ერთი უცხოელი ასისტენტიც და ერთიც ქართველი — აი, ასეთი იქნება საქართველოს ნაკრების მომავალი სამწვრთნელო შტაბი, რომელსაც, როგორც ვვარაუდობდით, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი უხელმძღვანელებს.

კუპერი გუშინ თბილისში იყო, გუშინვე ქვეყნისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელისუფალთ შეხვდა და მალევე გადაწყდა, რომ ეს კაცი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იქნება. სადავო და საეჭვო ალარაფერია — ჩავთვალოთ, რომ მომავალ შესარჩევ ციკლში ჩვენი ეროვნული გუნდი სწორედ კუპერის იქნება.

არგენტინელი გრაფიკით შინ ხვალ უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ რაკი გასარკვევი მოსალოდნელზე ადრე გაირკვა, მწვრთნელი და მისი აგენტი წუხელვე წავიდნენ და უკან ერთ კვირაში ჩამოვლენ, სწორედ მაშინ შედგება კონტრაქტის პრეზენტაციაც.

ფედერაციის ალმასკომიც, ვფიქრობთ, უპრობლემოდ დაამტკიცებს ექტორ რაულ კუპერის კანდიდატურას.

კობა ინასარიძე

## 0:3 — პანამ დინამო სირტაკით გამოაცილა




დონალდ ჯიუსმა და „დინამომ" ბერძნებს ვერაფერი დააკლეს

# დღეს უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე

## ზესტაფონი (საქართველო) — დიოშ ეტო (უნგრეთი)

## ვიტ ჯორჯია (საქართველო) — სპარტაკი (სლოვაკეთი)

# ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი


დუბლის ავტორი სალპინგიდისი

# პანამ დინამო სირტაკით გამოაცილა

**ცუდია,** ძალიან ცუდია, როცა თავს წინასწარ განწირულად გრძნობ...

ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ განწყობაზე იყო თბილისის „დინამო“ ათენის „სპირო ლუისზე“ გუშინდელი თამაშის წინ, მაგრამ შეგვიძლია დავიფიცოთ, რომ „დინამოსგან“ „პანათინაიკოსთან“ საგარეო შეხვედრიაში ჩვენ კარგს არაფერს ველოდით...

ერთი ასეთი შემთხვევა გვახსენდება: საქართველოს ნაკრებმა ძლიერ ევროპულ გუნდთან 0:2 წააგო და მაშინ შესაბამისი ტექსტიც დავწერეთ. მაგრამ მოგვიანებით ნაკრების ერთ-ერთმა ფეხბურთელმა იუკადრისა, 0:2 წავაგეთ და რა, მეტს რას ელოდითო...

ისე გამოვიდა, რომ ეროვნული გუნდისთვის მადლობა უნდა გვეთქვა იმ წაგებული მატჩისთვის, როცა მეტოქის კარისკენ ერთხელ თუ ორჯერ დაარტყეს...

ვეჭვობთ, ახლაც ასე არ იყოს და დინამოელებმაც მადლობა არ მოგვთხოვონ იმისთვის, რომ გუშინ „პანათინაიკოსთან“ „ოდენ“ 0:3 წააგეს.

0:3 წააგებ თუ 0:8-ს მნიშვნელობა აღარ აქვს — ერთიც სირცხვილია და მეორეც.

ხელის თითები გვეყოფა იმის დასათვლელად, თუ რამდენჯერ გადავიდა თბილისის „დინამო“ გუშინ მეტოქის ნახევარზე. ბერძნები თითქოს ვარჯიშობდნენო, ისე თამაშობდნენ მთელი 90 წუთის განმავლობაში და ცოტა მეტადაც რომ მოენდომებინათ, ტაბლოზე ეგებ „ის“ 0:8 აენთოთ კიდეც.

ისე, „პანათინაიკოსმა“ ჩვენებს მეოთხე გოლიც გაუტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა.

ახლა რისი იმედი უნდა გვქონდეს? იკითხავს ჩვეულებრივი ქომაგი. პირდაპირ ვუპასუხოთ: 0:3-ის საჩვენოდ შემობრუნება ფანტასტიკაა და სხვა არაფერი. „პანათინაიკოსი“ თავს არც თბილისში მოიკლავს და მშვიდად და ზედმეტი ძალების დახარჯვის გარეშე ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპზე ითამაშებს.

ჩვენს ფეხბურთს რა ეშველება, თორემ...

**ქობა ინასარიძე**


თბილისელებს მასპინძლების შეჩერება უჭირდათ

ათენი. 30 ივლისი. 22.45 საათი. სპიროს ლუისი. 50 000 მაყურებელი

## პანათინაიკოსი 3:0 დინამო

1:0 ივანშიცი (23), 2:0, 3:0 სალპინგიდისი (44, 73)

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, სარიეგი, ვინტრა, ნილსონი (გაბრიელი 46), სპირომპულოსი, მატოსი (ხრისტოდოპულოსი 46), სიმაო, ნინისი, სალპინგიდისი, ივანშიცი, მანციოსი (რუკავინა 80)
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე

დინამო: ოვონო, ინწკირველი (თომაშვილი 19), გ. კაშია, კრშკო, შ. კაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი (ნერგაძე 67), გველესიანი, ფირცხალავა, ჯიუსი (სპასოევიჩი 46), ოდიკაძე
მწვრთნელი: რაინერ ცობელი

გაფრთხილება: ინწკირველი, გველესიანი, ხმალაძე, შ. კაშია

მსაჯები: ბ. დუარტე; ჟ. კარდინალი, ს. სერაო; პ. ბატიშტა (ყველა პორტუგალია)

დელეგატი: ლ. კაიზერი (ლუქსემბურგი); დამკვირვებელი: ლ. შელინგსი (ბელგია)

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ტამპერე (ფინეთი) 1:3 არტმედია (სლოვაკეთი)
0:1 პოსპეხი (9), 1:1 ნიემი (16), 1:2 ობზერა (20), 1:3 პიროშკა (86)

შერიფი (მოლდოვა) 0:1 სპარტა (ჩეხეთი)
0:1 კლადრუბსკი (74)

ოლბორგი (დანია) 5:0 მოდრიცა (ბოსნია)
1:0 იოჰანსონი (16), 2:0 იაკობსენი (41), 3:0 ბრამერი (44), 4:0 დუე (52), 5:0 კასა (89)

ბეითარი (ისრაელი) 2:1 ვისლა (პოლონეთი)
0:1 ბროზეკი (28), 1:1, 2:1 ბაროკიანი (61, 79)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:0 მტკ (უნგრეთი)
1:0 რობერტო კარლოსი (16), 2:0 სელჩუკი (59)

გიოტებორგი (შვედეთი) 1:1 ბაზელი (შვეიცარია)
0:1 ჰუგელი (25), 1:1 ოლსონი (32)

ანდერლეხტი (ბელგია) 1:2 ბატე (ბელარუსი)
1:0 ჟილე (66), 1:1 კრივეცი (693), 1:2 ნეხაიჩიკი (87)

ანორთოსისი (კვიპროსი) 3:0 რაპიდი (ავსტრია)
1:0 სკოპელიტისი (35), 2:0, 3:0 სოსინი (46, 90)

დომჟალე (სლოვენია) 0:3 დინამო (ხორვატია)
0:1 ვრდოლიაკი (11), 0:2 სამირი (21), 0:3 ტადიჩი (40)

რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 კაუნასი (ლიტვა)

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მალაიზია 0:2 ჩელსი | ვაასლანდი 0:2 ლოკერენი |
| პალმსტადი 1:3 რედინგი | ტილბურგი 1:0 გენკი |
| კოტბუსი 1:1 აეკ | შტუტგარტი 1:3 არსენალი |
| ლივინგსტონი 0:0 ძოვენთრი | დაგენემი 3:2 კრ. პალასი |
| ჰარტლპული 0:0 საუთჰემპტონი | ბრედფორდი 1:2 ბარნლი |
| კილმარნოკი 1:0 ქუინზ პარკი | ლეიტონი 1:5 ტოტენჰემი |
| უოლსოლი 0:1 ვულვზი | ნოტინგემი 0:1 სანდერლენდი |
| ვიგორი 0:3 ვარეგემი | ვილიარეალი 0:0 ლივერპული |
| ბოტევი 0:2 ემპოლი | ჰერენვენი 2:0 ირაკლისი |
| პორტ ვეილი 0:2 დონკასტერი | ნორვიჩი 1:2 ბლექბერნი |
| ბლექპული 0:2 სენტ მირენი | მოზერუელი 1:1 პრესტონი |
| ბრაიტონი 2:3 იფსვიჩი | ინგოლშტადტი 3:2 ვოლფსბურგი |
| ლუთონი 0:1 კოლჩესტერი | სეტუბალი 2:2 ბელენენსეში |
| ნოტსი 0:2 სტოკი | ნავალი 1:1 ამადორა |
| კრ. პალასი 0:0 ფულემი | კამბური 1:0 ფოლკირკი |
| იოვილი 1:0 პლიმუთი | ბეირა მარი 1:1 ნასიონალი |
| არმინია 1:2 ალენი | ლეიშოეში 0:1 ვიზელა |
| გრენობლი 0:1 ლე მანი | ლე ავრი 3:3 მეხელენი |
| ალკმაარი 6:1 ტელსტარი | ტორინო 0:0 კერკირა |
| უტრეხტი 6:2 ოსი | ფეროლი 0:1 მურსია |
| ჰანზა 1:5 ვერდერი | ლიტეძსი 3:4 პარალიმნი |
| ნანტი 1:0 ლორიანი | აეკ 1:0 ბურსა |
| ნიურნბერგი 0:0 პანიონიოსი | აუგსბურგი 6:1 კოტბუსი |
| ვალანსიენი 0:1 სტანდარდი | ფიორენტინა 1:3 ბარსელონა |
| ვიტესი 0:1 აბერდინი | კლაიდი 3:0 ჰიბერნიანი |
| მიუნხენი 1:0 ლაუტერნი | დონსი 2:1 უოტფორდი |
| ვენლო 1:1 პსვ | როტერჰემი 0:1 ბრისტოლი |

## ნორვეგია
თასის მერვედფინალი
ალესუნდი 1:4 ლინი
ბოდიო გლიმტი 3:1 ჰაუგესუნდი
ფრედრიკსტადი 5:2 ლოვ ჰამი
სიოგნდალი 1:3 სტაბეკი
სტარტი 2:3 ოდ გრენლანდი

## შვეიცარია
სუპერლიგა
III ტური
გრასჰოპერი 3:1 სიონი

## უკრაინა
ვიშა ლიგა. II ტური
მეტალისტი 3:0 ტავრია

## შვედეთი
ალსვენსკა. XVI ტური
ნორჩიოპინგი 0:1 ელფსბორგი
სუპერეტა. XVI ტური
იორგრიტე 1:0 იონკოპინგი
ანგელჰოლმი 4:2 ბანკეფლო

## ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XIV ტური
ტურკუ 3:3 კუოპიო

## რუსეთი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
კრილია 4:0 სატურნი
ცსკა 0:0 ზენიტი

# უეფას თასი 2008–2009

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები





# ჯორჯიული მილანი თუ სლოვაკური ნიანგი?

**უეფას** თასზე ორი ქართული გუნდიდან არცერთს არ დაეწყო წაგებით, ასეთი რამ იშვიათია. „ვიტ ჯორჯიამ“ და „ზესტაფონმაც“ ფრეები ჩამოიტანეს, თუმცა ვიტელებმა უფრო შედეგიანი 2:2 მიიღეს და დღეს 0:0 და 1:1-იც აწყობთ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. მეტოქე კი არცთუ სუსტია — ტრნავის „სპარტაკმა“ შინ ბოლო 15 წუთში გამოაჩინა ბრჭყალები და ალბათ, დღესაც კბილებით იბრძოლებს.

ტრნაველები გუშინ შუადღით ჩამოფრინდნენ, „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდნენ და 17 საათზე „მიხეილ მესხის“ სტადიონს მოადგნენ სავარჯიშოდ. „თეთრი ანგელოზების“ დელეგაცია 31-კაციანია, მხოლოდ ერთი ჟურნალისტი ახლავთ.

ამასწინათ ვიტელმა ირაკლი კლიმიაშვილმა გვითხრა, სასწაული ქომაგები ჰყავს „სპარტაკს“, შეიძლება ითქვას, მათ ამოაქაჩინეს წაგებული მატჩი, ასეთი გულშემატკივრობა მხოლოდ ტელევიზორში მინახავსო. „თეთრ ანგელოზებს“ სლოვაკეთში ყველაზე ერთგული და ხმაურიანი ფანები ჰყავთ, მაგრამ დღეს „მიხეილ მესხზე“ ეს კოზირი მოაკლდებათ...

თბილისი. 31 ივლისი. 17.30 საათი. მიხეილ მესხი

### ვიტ ჯორჯია — სპარტაკი

**მსაჯები:** სტანისლავ ტოდოროვი; კრასიმირ კერეჟოვი, კრასიმირ ნიკოლოვი; რადან მირიანოვი (ყველა ბულგარეთი);
**უეფას დელეგატი:** დუმიტრუ მიჰალაჩე (რუმინეთი); **დამკვირვებელი:** ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

— პირველი მატჩის შემდეგ რაიმე ცვლილება მოხდა „სპარტაკის“ შემადგენლობაში? — ვკითხეთ მწვრთნელ ვლადიმირ ვერმეზოვიჩს.

— ერთადერთი, სენეგალელი მცველი ბაბაქარ ნიანგი დაგვემატა, რომელსაც პირველ მატჩში არ უთამაშია.

— „ვიტ ჯორჯიასგან“ ამგვარ წინააღმდეგობას ელოდით პირველ შეხვედრაში?

— სიმართლე გითხრათ, ნაკლებად. „ვიტ ჯორჯიას“ თამაში ნანახი არ მქონდა და მათ გამაოცეს ფიზიკური მომზადებით, მებრძოლი სულისკვეთებით, ტაქტიკური სიძლიერით. მეტოქემ რამდენჯერმე შეცვალა თამაშისას ტაქტიკა.

— ხვალ თავიდანვე შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ?

— თვითმკვლელობას არ ვაპირებთ. ანუ, არ გვინდა, რომ გავვარდეთ. შესაბამისად, შევუტევთ.

— მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებზე რას იტყვით?

— თანაბარი შანსებია.

ტრნაველთა ვარჯიში 50 წუთი გაგრძელდა, მერე კი „ვიტ ჯორჯიამ“ დაიწყო. აქვე ერთი საინტერესო ცნობა: „ვიტ ჯორჯია“ იმ ვიტამინებს („ენერვიტი“) იღებს, რომელსაც „მილანი“. საამისო ლიცენზია კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ მიიღო. შედეგიც ჩანს, ვიტელები სლოვაკეთში ფიზიკურად არათუ ჩამორჩებოდნენ ტრნაველებს, იქით აჯობეს — არადა, ვარჯიშზე გენახათ, რა ბრგე და დაკუნთული ბიჭები ჰყავს „სპარტაკს“...

ვარჯიშის დაწყებამდე ვიტელთა თავკაც *ნესტორ მუმლაძესა* და მეკარე *გრიგოლ ბედიაშვილს* ვესაუბრეთ...

მუმლაძე: გუნდში მშვენიერი განწყობაა, ყველანი მობილიზებულნი ვართ, რათა ეს ეტაპი გავიაროთ. მნიშვნელოვანი იქნება გულშემატკივრების მხარდაჭერა. ძალიან მინდა, ბევრი მაყურებელი მოვიდეს.

— პირველი მატჩის შემდეგ ძირითად შემადგენლობას შეცვლით?

— არა მგონია. დაზუსტებით მაინც ვერ გეტყვით.

— „სპარტაკი“ უფრო ძლიერი გუნდი იყო, ვიდრე წარმოგედგინათ, თუ პირიქით?

— დაახლოებით იმ დონის გამოდგა, რასაც ველოდით. ძლიერი გუნდია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

— უფრო ფრთხილ თამაშს ელით თუ გახსნილს?

— ჩვენ 0:0 და 1:1-იც გვაწყობს, თუმც დაცვაში ყრუდ ჩადგომას არ ვაპირებთ. თავიდან ალბათ ფრთხილი თამაში იქნება, მერე კი ვნახოთ...

— „ვიტ ჯორჯია“ ორი წლის წინაც ეთამაშა სლოვაკურ გუნდს. მაშინდელ „არტმედიას“ და დღევანდელ „სპარტაკს“ როგორ შეადარებდით?

— „არტმედია“ უფრო კარგი გუნდი იყო. ბევრად არა, მაგრამ მაინც... სტილით კი თითქმის ერთნაირები არიან.

— საქართველოში ჩემპიონატი არ დაწყებულა, სლოვაკეთში კი ორი ტური ჩატარდა. ამას „სპარტაკის“ უპირატესობად თვლით?

— ნაკლებად. თუ მეტოქის უპირატესობაზე ვიფიქრებთ, არაფერი გამოვა.

— „ვიტ ჯორჯია“ მომავალი სეზონისთვის უკვე დაკომპლექტებულია?

— დიახ.

ბედიაშვილი: ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე. არ უნდა მოვდუნდეთ და ისეთივე შემართებით ვითამაშოთ, როგორც სლოვაკეთში.

— ტრნავაში საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩი?

— როგორ გითხრათ, ორი გოლი გავუშვი და ასეთ დროს მეკარე ბოლომდე კმაყოფილი ვერ იქნება.

— ხვალ „სპარტაკს“ უფრო სჭირდება მოგება და ბევრია დამოკიდებული მათ თავდამსხმელებზე. რამდენად ძლიერი ფოვარდები ჰყავთ?

— მწვავე ფორვარდები ჰყავთ. ისეთი გამორჩეული და ფანტასტიკური არავინაა, მაგრამ ნასწავლ ფეხბურთს თამაშობენ. მწვრთნელის ხელი ეტყობათ.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონი ანშლაგს ელის

## ორკაცნაკლულმა უნგრელებმა ვარჯიში დახურეს და გახსნეს

ზესტაფონი. 31 ივლისი. 17 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — დიორ ეტო

**მსაჯები:** ანასტასიოს კაკოსი; კონსტანტინოს დალასი, სპიროს ტრიფონასი; ილიას მაზარაკოსი (ყველა საბერძნეთი);
**უეფას დელეგატი:** მიხაილ კასაბოვი (ბულგარეთი); **დამკვირვებელი:** კარელ ბოჰუნეკი (ჩეხეთი)

**მთელი** ზესტაფონი „დიორ ეტოსთან“ მატჩს ელის. გუშინ თემურ მახარაძემ გუნდი 45 წუთი ავარჯიშა, ყველა ფეხბურთელი ჯანზე იყო, მათ შორის ნიკოლოზ სტეფანიშვილიც, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

წვრთნა რა თქმა უნდა, მსუბუქი იყო — მოთელვა, კვადრატი და ნახევარ მოედანზე ორკარა. ბოლოს იმერლებმა პენალტებშიც წაივარჯიშეს და ვარჯიშიც დასრულდა.

ნავარჯიშევს თემურ მახარაძემ ეს კომენტარი გააკეთა: „ყველა ფეხბურთელი კარგადაა მომზადებული და იმედი მაქვს, წარმატებას მივაღწევთ. რა თქმა უნდა, გულშემატკივრის მხარდაჭერას ველით, დარწმუნებული ვარ, ანშლაგი იქნება“.

ცნობისთვის, 3000 ბილეთი უკვე გაყიდულია. როგორც ზესტაფონელები ამბობენ, თუ მატჩზე დასწრების მსურველებმა არ იჩქარეს ბილეთს ველარ იშოვიან.

უნგრელები 16 საათზე ჩამოფრინდნენ. სულ 50 კაციანი დელეგაციით, მათ შორის, 20 გულშემატკივარი, ორი ჟურნალისტი და ერთიც ოპერატორი. გუნდს არ ჩამოჰყოლიან პირველ მატჩში გოლის გამტანი ბოორი და პეტარ შტარკი, მათ ტრავმები აქვთ.

სტუმრები იანეთთან ახლოს მდებარე სასტუმროში დაბინავდნენ, მერე კი ზესტაფონის სტადიონს ეწვივნენ.

გუშინ ზესტაფონში მთელი დღე წვიმდა, თუმცა ეს მოედანს არ დასტყობია და უნგრელებმა საფარი მოიწონეს.

თავიდან ითქვა რომ ვარჯიში დახურული იქნებოდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და წვრთნას ორმოცდაათი ქართველი გულშემატკივარი დაესწრო. უნგრელთა ვარჯიშს თემურ მახარაძემაც ადევნა თვალყური.

სტუმრებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ, 40 წუთი მსუბუქად ივარჯიშეს და ეს იყო.

**ნუკრი ლოლაძე**


თემურ მახარაძე, ბოიომო და ჩასემი


უნგრელების იმერული ვარჯიში

# ქართველებმა მეორე წააგეს

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა აზერბაიჯანელ თანატოლებთან მეორე მატჩშიც ერთი გოლი გაუშვა, თუმც თვითონ ვერ გაიტანა და 0:1 დამთმო.

ორი დღის წინ ჩვენებმა 3:1 სძლიეს აზერბაიჯანელებს.

გუშინდელ მატჩში ქართველთა მწვრთნელმა გელა შეყილაძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ნადირაძე, ამაშუკელი, აფაქიძე, ფუტკარაძე, ჯიმშელეიშვილი (კობახიძე 57), ელიზბარაშვილი, კვეკვესკირი, კუხიანიძე (ბუზალაძე 42), გაბაშვილი, ნ. ჯიშკარიანი (სანიკიძე 42), ჩაფიძე.*

მასპინძლებმა ერთადერთი გოლი მე-40 წუთზე გაიტანეს.

**ილია ნანობაშვილი**



# კობიაშვილი: კომბინაციური ფეხბურთელი

„შალკეს" ვებგვერდზე ძალიან საინტერესო სტატიაა ლევან კობიაშვილზე.

აი, შევიტყვეთ, რომ ლევანის ვაჟი, ნიკა ფეხბურთზე თურმე გიჟდება და თავისი ოთახი „შალკეს" მუზეუმს დაუმსგავსებია.

„ნიკა „შალკეს" ყველაზე დიდი გულშემატკივარია. მისი ოთახი ჩვენი გუნდის მაისურებით, სხვადასხვა აქსესუარებითა და პლაკატებითაა სავსე" — ამაყად ამბობს კობიაშვილი.

ვებგვერდი წერს, „კობის" გუნდში ყველა აფასებს — ის გამოირჩევა თავისი ზრდილობით, ადამიანურობით, რომ არაფერი ვთქვათ მის გუნდურ, ტაქტიკურად გააზრებულ თამაშზეო.

„ის ბრწყინვალე ადამიანია, ისტორიის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი და „შალკესთვის" ძვირფასი ფეხბურთელი".

და ლევან ყენია? ცხადია, „კობის" და „ყენის" მეგობრობაზეც წერენ — კობიაშვილი ყველანაირად მხარში უდგას 17 წლის თანამემამულეს, რომელიც ჯერჯერობით, მშობლების გარეშე ცხოვრობს გერმანიაშიო.

და აქვე: ყენიამ გრიპი მოიშორა და გუშინ გუნდსაც შეუერთდა...

**ილია ნანობაშვილი**

# დოლიძის ჰეთ თრიქი, ბოლქვაძის კინკილა

**ქართველი** ფეხბურთელებით დახუნძლულმა ზაქათალის „სიმურგმა" საკონტროლო მატჩში მინგეჩაურის „ენერგეტიკი" 11:0 გაანადგურა და აქედან ოთხი გოლი ჩვენებურებმა შეაგდეს.

განსაკუთრებით ექსამერელი გრიგოლ დოლიძემ გამოირჩა, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა, ერთხელ კი ასევე ექსამერელმა, დავით ბოლქვაძემაც იხეირა.

**ქახა შალამბერიძე**







# ექტორ რაულ კუპერი: პირდაპირი, მკაცრი და საქმიანი

**„პირდაპირი** კაცი ვარ და გეტყვით, ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცი ქართულ ფეხბურთზე, მაგრამ, ზოგადად, ფეხბურთი არ არის იმდენად რთული, რომ კარგად გაცნობას დიდი დრო დასჭირდეს" — ეს სიტყვები ვიქტორ რაულ კუპერმა ტექნიკურ ცენტრ „ბასას" დათვალიერების შემდეგ თქვა.

„ბასამდე" კი 52 წლის არგენტინელმა სპეციალისტმა ეროვნული სტადიონი და საგურამოს მშვენიერი ბაზა მოინახულა.

...დონ ექტორი გუშინ გამთენიისას თავის წარმომადგენელ ალეხანდრო კამანიოსთან ერთად ჩამოფრინდა თბილისში, ეროვნულ სტადიონს კი შუადღეზე, ორის ოც წუთზე მოადგა.

სადა ჩაცმულობა, სა[illegible], ჩაფიქრებული სახე, თასაც თალაც ქართველის მსგავსი [illegible] სტიკულაცია, ჯიბეებში ჩაყ[illegible] ლი ხელები და ას[illegible] ბი — რაღაცნაი[illegible] ქართველს ჰგავს ეს კაცი.

კუპერმა ჯერ მინდორი მოინიჯა, ტრიბუნებს ახედა და [illegible], [illegible] მდენ გულშემატკივარს იტ[illegible], როცა პასუხი მიიღო, კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია.

მერე სტადიონის გასახდელი და საპრესკონფერენციო დარბაზი ნახა. აშკარად ეტყობოდა, რომ მოეწონა, დარბაზში ცოტა ხნით გაჩერდა თბილისის „დინამოს" 1981 წლის 13 მაისს გადაღებულ ფოტოსთან...

შემდეგი გაჩერება — საგურამო. არგენტინელმა ორივე მინდორი მოსინჯა, განსაკუთრებით, ის გაზონი მოეწონა, სადაც ჰოლანდიიდან ჩამოტანილი საფარია დაგებული. მერე შენობაში შევიდა, ხედს გადახედა და ღიმილით უთხრა თარჯიმანს, მშვენიერიაო.

კუპერმა პრესის ამბავიც იკითხა, რამდენი სპორტული გაზეთია თქვენთანო. ეს იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი არ არის გულგრილი, რას წერენ (და, იმედია, ბევრს და კარგს დავწერთ) მასზე.

მესამე გაჩერება — „ბასა". აქ კი კუპერმა თავისი პირველი კომენტარი გააკეთა:

— პირდაპირი კაცი ვარ და გეტყვით, ბევრი არ ვიცი ქართულ ფეხბურთზე, თუმც ფეხბურთი არაა იმდენად რთული, რომ კარგად გასაცნობად დიდი დრო დამჭირდეს. როდესაც სახლში, მადრიდში დავბრუნდები, თან წავიღებ ვიდეომასალებს საქართველოს ნაკრებზე და 47 საათში შემექმნება შთაბეჭდილება.

— დღევანდელ შთაბეჭდილებაებზე რას იტყვით?

— მხოლოდ დადებითს. ლამაზი ქვეყანაა, ნორმალური საფეხბურთო

# აი, ასეთ მწვრთნელს ელის ჩვენი ეროვნული ნაკრები









ინფრასტრუქტურაა. ცხადია, კონტრაქტის გაფორმებაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

47 საათი რატომ?

ეს აღარ დააზუსტა ჭალარა არგენტინელმა. კუპერთან ერთად იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი უჩა უგულავა, ვიცე-პრეზიდენტები, გოგი ქავთარაძე და რევაზ არველაძე.

*ნოდარ ახალკაცი:* „იცით, რომ კუპერის დღევანდელი ვიზიტი ემსახურება ქართულ ფეხბურთთან გაცნობას. ჩვენ შეხედულებებს ვუზიარებთ ერთმანეთს. ფინანსურ მხარეზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და ჩემთვის პირადად უფრო მნიშვნელოვანიც კია, თუ რა მიმართულებით აპირებს მუშაობას არგენტინელი სპეციალისტი, რა გზით დაიწყებს. ჩვენი ხედვით, ესაა ეროვნული ჩემპიონატი და ახალგაზრდა ფეხბურთელები...

...კუპერი პირდაპირი კაცია. მან თქვა, ქართულ ფეხბურთზე ჯერ მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა მაქვსო. ის შინ წაიღებს ვიდეომასალას და გაეცნობა — მათ შორის, უმეტესად, ნაკრების ბოლო პერიოდში ჩატარებულ მატჩებს...

...სამ კვირაში უკვე ამხანაგური მატჩი აქვს ნაკრებს, შესარჩევი ციკლიც შორს არ არის და, ცხადია, დრო არ ითმენს. ოფიციალურად მწვრთნელის საკითხი 1 აგვისტოს აღმასკომის სხდომაზე გაირკვევა".

„ბასას" დათვალიერების შემდეგ, ცხადია, მოლაპარაკება ჟურნალისტებს მიღმა გაგრძელდა. ისე, მოლაპარაკებაც ძნელია დაარქვა — მხოლოდ პატარა დეტალებიღაა შესათანხმებელი.

ჩვენ ვწერდით, კუპერის ვიზიტი ორდღიანი იქნება და 31 ივლისს „ვიტ ჯორჯიას" საუეფასთასო მატჩს დაესწრებაო, თუმცა, როგორც შევიმტყვეთ, ის დღეს დილით გაფრინდა მადრიდში...

„მან ყველაფერი ნახა და უმნიშვნელო დეტალებზეღა ვილაპარაკებთ. „ვიტ ჯორჯიას" მატჩი კუპერის გადაწყვეტილებაზე გავლენას არ მოახდენს და ამიტომ, შეიძლება, დაგეგმილზე ადრე გაბრუნდეს საქართველოდან. თუ ხვალამდე დარჩება, ცხადია, მოხარულნი ვიქნებით" — გვითხრა გუშინ გოგი ქავთარაძემ.

კუპერზე პირველი შთაბეჭდილებები კი, მხოლოდ დადებითია — პირდაპირი, მკაცრი და საქმის მოყვარული, რასაც კლაუს ტოპმიოლერს მაინცდამაინც ვერ დავაბრალებდით...

**ილია ნანობაშვილი**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***

## კალაძის ტიმ ტროფი

**ტრადიციული** სეზონისწინა ტურნირი TIM TROPHY კახა კალაძის „მილანის" გამარჯვებით დასრულდა.

„მილანმა", „ინტერმა" და „იუვენტუსმა" ერთმანეთში სამი 45-წუთიანი მატჩი გამართეს.

პირველ შეხვედრაში „მილანმა" და „იუვენტუსმა" 2:2 ითამაშეს.

პენალტების სერიაში „მილანმა" „იუვეს" 4:2 სძლია.

კალაძემ ტურინელთა წინააღმდეგ სრულად ითამაშა.

„მილანთან" მარცხის შემდეგ „იუვენტუსმა" ვინჩენცო იაკვინტას გოლით „ინტერს" 1:0 მოუგო, ბოლო ტურში კი მილანური დერბი შედგა.

კარლო ანჩელოტის ამჯერად კალაძე მინდორზე აღარ გაუყვანია, მისმა გუნდმა კი უგოლო 45 წუთის შემდეგ ისევ პენალტების სერიაში იმარჯვა.

**კახა ზალამბერიძე**

## გიგიაძეს ორი კვირა უთხრეს

**სიმფეროპოლის** „ტავრიას" ქართველ თავდამსხმელს ორკვირიანი უქმობა მოუწევს — ვასილ გიგიაძე ფრანგულ „რენთან" ინტერტოტოს მატჩში დაშავდა.

გიგიაძემ მატჩი ბოლომდე ჩაამთავრა, გოლიც გაიტანა და მატჩისშემდგომ პენალტების სერიაშიც გამოიჩინა თავი, თუმცა მეორე დღეს კოჭში ტკივილი იგრძნო და გამოკვლევამ დაზიანება აღმოაჩინა.

ვასოს ორკვირიანი მკურნალობა დაუნიშნეს.

**კახა ზალამბერიძე**

## იაშვილის ტაიმი და თარგამაძის რეზერვი

**ალექსანდრე იაშვილი** „კარლსრუე" ამხანაგურ მატჩში დავით თარგამაძის „ფრაიბურგს" შეხვდა და 0:2 დამარცხდა.

მატჩი ოფენბურგის „კარლ-ჰაინცშტადიონზე" შედგა და 4130 მაყურებელი დაესწრო.

იაშვილმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და შესვენებაზე შეცვალეს.

თარგამაძე კი მინდორზე არ გამოჩენილა — ის რამდენიმე დღის ჩასულია ფრაიბურგში და სარეზერვო გუნდში ივარჯიშა.

**კახა ზალამბერიძე**

## ქართველები აუტსაიდერთან დამარცხდნენ

**ავსტრიული** ბუნდესლიგის მე-4 ტურში ქართველთა „შტურმი" აუტსაიდერ „ალტახს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა.

გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა სრულად ითამაშეს.

„შტურმს" 3 მატჩში 6 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა.

**კახა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იეპესს შემცვლელი მოუძებნეს

**ფრანგული** „მონაკოს“ მცველი სილვენ მონსორო უახლოეს მომავალში შესაძლოა, პსჟ-ს რიგებში გადავიდეს. დედაქალაქელთა ხელმძღვანელობა კოლუმბიელი მარიო იეპესის წასვლის შემდეგ ახალი მცველის ძიებაშია და მონსორო ამ მხრივ შესაფერისი კანდიდატურაა. ტრანსფერის ღირებულება, სავარაუდოდ, 4 მილიონ ევროს შეადგენს.

## ახალზელანდიელი რივერსაიდზე

**ახალზელანდიელი** ფეხბურთელი ტონი ლოუკლი პრემიერლიგის „მიდლსბროში“ გადის შემოწმებას. 26 წლის მცველი ამჟამად „ველინგტონ ფინიქსის“ მოთამაშეა და ავსტრალიის A ლიგაში გამოდის. ინგლისური პრესის ცნობით, ფეხბურთელი „მიდლსბროში“ 10 დღეს გაატარებს.

## კინიონმა პრემიერლიგა დაიცვა

**„ჩელსის“** აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი ვერ ხედავს პრობლემას იმაში, რომ პრემიერლიგაში მხოლოდ ოთხი ძლიერი გუნდია.

„მიმაჩნია, რომ ჩვენ კი არ უნდა ჩამოვიდეთ სხვა კლუბების დონეზე — ისინი უნდა წამოგვეწიონ. სხვა ევროპულ ჩემპიონატებს შეხედეთ, იქაც ორი ან სამი კლუბი დომინირებს. ამიტომ სისულელეა იმაზე საუბარი, რომ ეს მხოლოდ პრემიერლიგის პრობლემაა“ — განაცხადა კინიონმა

## ავრაამი და აბრამოვიჩი შეთანხმდნენ

**„ჩელსის“** ყოფილმა მწვრთნელმა ავრაამ გრანტმა თანხმობა განაცხადა, საქმე სასამართლომდე არ მიეყვანა. ეს გადაწყვეტილება ებრაელმა სპეციალისტმა რომან აბრამოვიჩთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. „ჩელსის“ მფლობელი მზადაა, ადრე გადახდილ 5 მილიონ გირვანქას კიდევ 3,5 მილიონი დაუმატოს. შეგახსენებთ, რომ გრანტი კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის გამო კომპენსაციას ითხოვდა.

## პავლიუჩენკოს პირობები არ მოეწონა

**ინგლისური** „ტოტენჰემი“ რომან პავლიუჩენკოსთან დაკავშირებით მოსკოვის „სპარტაკთან“ მოლაპარაკებას მართავს. რუსულ და ინგლისურ კლუბებს შორის შეთანხმება თითქოს შედგა, თუმცა პავლიუჩენკო ლონდონელთა მიერ შემოთავაზებული პირობებით უკმაყოფილო დარჩა.

## კამერუნელებს არ უშვებენ

**ჯერ კიდევ** „ბარსელონას“ თავდამსხმელი სამუელ ეტოო, პეკინის ოლიმპიადაზე არ გაემგზავრება. ეტოოს გარდა კამერუნის ოლიმპიური ნაკრების დამრიგებელს ნდტოგუ მპილეს მოდესტ მბამის და ჟან მაკუნის იმედიც ჰქონდა, თუმცა პეკინში გამგზავრებაზე სამივემ უარი განაცხადა. მათი ასეთი გადაწყვეტილების ოფიციალური მიზეზი არ სახელდება, თუმცა, როგორც კამერუნში ამბობენ, ფეხბურთელებს თავიანთი კლუბები არ უშვებენ.

## რეჯოკალაბრიული ამბები

**იტალიური** „რეჯინას“ კაპიტანმა ფრანჩესკო კოცამ სერიოზული ტრავმა მიიღო და ორი-სამი თვით გამოვიდა მწყობრიდან. 32 წლის ფეხბურთელისთვის „კაზალესთან“ კვირას გამართული შეხვედრა წარუმატებელი აღმოჩნდა. კოცას ტრავმა „რეჯინასთვის“ დიდი დანაკლისი იქნება.

ამასობაში, რეჯოკალაბრიელებთან თავისუფალი აგენტის სტატუსით ბერნარდო კორადი გაღმობარგდა, მას შემდეგ, რაც ორმხრივი შეთანხმების შედეგად, „მანჩესტერ სიტისთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. გასული სეზონი კი კორადიმ იჯარით „პარმაში“ გაატარა, რომელიც ახალ სეზონს სერია B-ში დაიწყებს“.

## ჰალმა გარდნერი ინათხოვრა

**ენტონი გარდნერმა** ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი „ჰალ სიტისთან“. 27 წლის ფეხბურთელი „ჰალში“ წლის ბოლომდე დარჩება იჯარით, შემდეგ კი მისი საბოლოო შეძენაც შესაძლებელი იქნება.

გარდნერმა გასული სეზონი „ევერტონში“ განათხოვრებით გაატარა, „ტოტენჰემში“ კი 8 წლის განმავლობაში 144 მატჩი აქვს გამართული და სამი გოლიც გაუტანია.

## პსჟ ლიგის თასიდან მოკვეთეს

**საფრანგეთის** ფეხბურთის ასოციაციამ „პარი სენ-ჟერმენს“ მომავალ სეზონში საფრანგეთის ლიგის თასის გათამაშებაში მონაწილეობის ნება არ დართო. 29 მარტს, ლიგის თასის ფინალში პარიზელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე ჩრდილოეთ საფრანგეთის მაცხოვრებელთა შეურაცხმყოფელი ბანერი გამოფინეს. ინციდენტმა ეროვნული მასშტაბი მიიღო, რადგან მატჩს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზიც ესწრებოდა.

**არჩილ ძოგახიძე**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**

### ლეგენდა №55

## მატჩი, რომელმაც ფეხბურთი შეცვალა

1953 წლის 25 ნოემბერს „უემბლიზე“, დაახლოებით 100 ათასი ქომაგის თვალწინ, ინგლისსა და უნგრეთს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩს ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია.

ძნელი სათქმელია, რატომ იყვნენ ინგლისელები ზედმეტად თვითდაჯერებულნი თავიანთ შესაძლებლობებში. მათ არც ის აშინებდათ, რომ უნგრელებს იმ მატჩამდე გამართული 32 შეხვედრიდან 25 მოეგოთ, 6-ჯერ ფრედ ეთამაშათ და ოდენ ერთხელ იყვნენ დამარცხებულები.

შესაძლოა, ინგლისი ბრიტანულმა პრესამ შეიყვანა შეცდომაში, რომელიც ტრადიციულად თავისიანების ქება-დიდებით იყო დაკავებული და მეტოქეზე არანაირ ინფორმაციას არ აშუქებდა და, ალბათ, არც ფლობდა. მათ წესიერად არც კი იცოდნენ, ვინ იყო ფერენც პუშკაში და ძმანი მისნი.

„უნგრელებს იოლად გავუსწორდებით. მათ წესიერი ბუცებიც კი არ აქვთ, სახლის ჩუსტების მაგვარი ფეხსაცმლით თამაშობენ“ — თქვა მატჩამდე ერთ-ერთმა ინგლისელმა ფეხბურთელმა.

მასპინძლებმა, რომელთა შემადგენლობის საშუალო ასაკი 30 წელს აღემატებოდა, მინდორზე ორი დებიუტანტი გამოიყვანეს და საბოლოოდ, მწარედ დაისაჯნენ. ინგლისი საკუთარი მრავალრიცხოვანი ქომაგის თვალწინ საშინლად შერცხვა.

მართალია, ინგლისელების ბუცებთან შედარებით, უნგრელებისას, შესაძლოა, მართლა ჩუსტების შთაბეჭდილება დაეტოვებინა, მაგრამ ეს მათ ზუსტ და ძლიერ დარტყმებში, ოსტატური პასების კეთებასა და ბურთის საოცარ ფლობაში ხელს სულაც არ უშლიდათ.

სტუმრები პირველივე წუთიდან შეუდგნენ საქმეს, გოლი ნანდორ ჰიდეგკუტიმ გაიტანა. მოგვიანებით მან კიდევ ორჯერ იხეირა. პუშკაში დუბლით გამოირჩა, ერთი გოლი კი იოჟეფ ბოჟიკმა გაიტანა. ამ სამეულმა, შანდორ კოჩიშმა, ზოლტან ციბორმა, დიულა გროშიჩმა და სხვებმა შანსი არ დაუტოვეს ამპარტავან ინგლისელებს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გუსტავ შებეშის გუნდი გოლს მაშინ გაიტანდა, როცა მოესურვებოდა.

საბოლოოდ, მატჩი 3:6 მორჩა. უოლტერ უინტერბოტომის გუნდიდან გოლები ჯეკი სიუელმა, სტენ მორტენსენმა და ალფ რემსიმ გაიტანეს.

მედალს ორი მხარე აქვს და ინგლისელებმაც ამ მარცხისგან საანადო დასკვნა გამოიტანეს. მათ აბსოლუტურად შეცვალეს მიდგომა ფეხბურთისადმი, კარგად გაიაზრეს, რომ დაუმარცხებლები არ იყვნენ, შეცვალეს ტაქტიკური მონახაზები და ასე შემდეგ.

ინგლისმა რევანშის აღება ისურვა, მაგრამ 6 თვის მერე, 1954 წლის 23 მაისს უნგრეთის „დიდმა გუნდმა“ უფრო მეტად შეარცხვინა ბრიტანელები და 7:1 მოუგო.

ინგლისელთა მხრიდან ერთადერთი გოლი ივან ბროადისმა გაიტანა. უნგრეთიდან კი თავი ორ-ორჯერ გამოიჩინეს პუშკაშმა და კოჩიშმა, ხოლო თითოჯერ — მიჰაი ლანტოშმა, ჰიდეგკუტიმ და იოჟეფ ტოტმა.

### ლეგენდა №56

## ჩაქუჩების ერთგული მწვრთნელები

ინგლისური „ვესტ ჰემი“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საფეხბურთო კლუბია. „ჩაქუჩები“ იმითაც გამოირჩევიან, რომ თავის ისტორიაში მხოლოდ 11 მწვრთნელი ჰყავდათ. კლუბის წინამორბედი „თემზ აირონვორკსი“ 1895 წელს დაარსდა, მაგრამ 5 წელიწადზე მეტი ვერ იარსება და შემდეგ, შეიქმნა კლუბი „ვესტ ჰემი“.

გუნდის პირველი მწვრთნელი სიდ კინგი გახლდათ, ვინც 1901-1932 წლებში თავკაცობდა „ჩაქუჩებს“. როგორც ჩანს, ლონდონელებს მართლაც განსაკუთრებული აურა აქვთ და კლუბში მისული სპეციალისტები ისე იმუხტებიან, რომ განსაკუთრებულად ერთგულნი ხდებიან. 1989 წლამდე, ანუ 88 წლის განმავლობაში გუნდს ოდენ 5 მწვრთნელი ჰყავდა.

კინგს მოჰყვა ჩარლი პაინტერი (1932-1950), მას კი ტედ ფენტონი (1950-1961). შემდეგ იყვნენ რონ გრინვუდი (1961-1974) და ჯონ ლაილი (1974-1989).

1989 წლიდან დღემდე კი გუნდმა იმაზე ერთით მეტი მწვრთნელი გამოიცვალა, ვიდრე მთელი წინა 88 წლის განმავლობაში.

1989-1990 წლებში „ვესტ ჰემს“ ლუი (ლუიჯი) მაკარი წვრთნიდა, 1990-1994 წლებში — ბილი ბონდსი, 1994-2001 წლებში — ჰარი რედნაპი, 2001-2003 წლებში — გლენ რიოდერი, 2003-2006 წლებში — ალან პერდიუ, ხოლო 2006 წლის დეკემბრიდან კი „ჩაქუჩებს“ ალან კერბიშლი უდგას სათავეში.

გუნდის მე-12 მწვრთნელად ტრევორ ბრუკინგი ითვლება, ვინც ორჯერ ასრულებდა დროებითი მენეჯერის ფუნქციებს: პირველად რიოდერის ავადმყოფობისას, მეორედ კი იმავე რიოდერის მოხსნიდან პერდიუს დანიშვნამდე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მწვრთნელებიდან 10 ინგლისელია. „ვესტ ჰემის“ ერთადერთი არაინგლისელი თავკაცი მაკარი გახლდათ. ლუი, იგივე ლუიჯი მაკარი იტალიელი ემიგრანტების შვილია. იგი შოტლანდიაში დაბადებულ-გაზრდილი ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელია. შესაბამისად, შოტლანდიელად ითვლება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჩაქუჩებს“ ყველა მწვრთნელი ბრიტანელი ჰყავდათ.

### ლეგენდა №57

## პიჩიჩი

1892 წლის 8 აგვისტოს დაბადებულმა ბასკმა ფეხბურთელმა რაფაელ მორენო არანსადიმ „ბილბაოს“ რიგებში 10 სეზონი ჩაატარა. 1911-1921 წლებში მან 170 მატჩი გამართა და 200 გოლი გაიტანა. მან კლუბთან ერთად რამდენიმე ტიტული მოიგო. ესპანეთის ნაკრების მაისურა კი 5-ჯერ მოირგო და 1 გოლი მიითვალა. ნაკრებთან ერთად იგი 1920 წლის ბელგიის ოლიმპიადაზე ვერცხლისმედალოსანი გახდა.

1913 წლის 21 აგვისტოს „ბილბაო“ თავის ამჟამინდელ სტადიონ „სან მამესზე“ გადაბარგდა და არანსადიმ, რომელსაც მეტსახელად პიჩიჩის ეძახდნენ, „სან მამესის“ გახსნის მატჩში პირველი გოლი გაიტანა.

იგი ნამდვილ გოლეადორად იყო დაბადებული და ალბათ კიდევ ბევრს მიაღწევდა, მაგრამ 1922 წელს, 29 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა. 1926 წელს „სან მამესთან“ დადგეს მისი მემორიალური ბიუსტი. კლუბი, რომელიც პირველად მიდის „სან მამესზე“ სათამაშოდ, ტრადიციისამებრ, ყვავილებს ტოვებს ბაზაზე, პიჩიჩისადმი პატივის მისაგებად.

1953 წელს ცნობილმა სპორტულმა გამოცემა „მარკამ“ „ტროფეო პიჩიჩი“ მოიფიქრა და ეს ჯილდო დაამკვიდრა კიდეც, არანსადის საპატივცემულოდ. მას მერე პირმერადივიზიონისა და სეგუნდადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი სწორედ „ტროფეო პიჩიჩის“ მფლობელი ხდება და საუკეთესო ბომბარდირს უბრალოდ პიჩიჩისაც კი ეძახიან.

პიჩიჩი და მისი მეუღლე ასევე უკვდავჰყო ბასკი მხატვრის აურელიო არტეტას ნახატმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაციხარს ნაიკი გაეყარა


ჯოი ბარტონი

**ციხიდან** გამოსულ ჯოი ბარტონს „ნაიკმა“ საჩუქარი გაუმზადა — 40-ათასგირვანქიანი კონტრაქტი გაუწყვიტა და „ნიუკასლის“ ნახევარმცველს სხვა ფირმის ბუცების ჩაცმა მოუწევს.

კონტრაქტი ორწლიანი იყო და წელიწადში ბარტონს 40 ათასი გირვანქა უნდა ჩაეჯიბა.

ჩხუბისთავ ფეხბურთელს სასამართლომ მაისში ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ 74 დღეში გამოუშვეს.

შეგახსენებთ, რომ ჯოი ბარტონმა შარშან დეკემბერში ლივერპულში ორ ბიჭს სცემა. ამ საქმეში მისი ძმა და ბიძაშვილიც იყვნენ გარეულნი.

ბარტონი გვარიანად შეზარხოშებული ყოფილა და ბიჭებთან კამათი მოსვლია. ჯერ ერთი, 20 წლისა გამოუყვანია გარეთ, დაუგდია და მიუბეგვია, მეორეს კი, 16 წლისას, უფრო გამეტებით ურტყა — კბილები ჩაუმტვრია. კბილის სამკურნალო ფულიც (2005) გირვანქა ბარტონმა გადაიხადა.

„ნიუკასლის“ მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ თავქარიან ბიჭს გუნდში დაიტოვებს და არც ხელფასს შეუმცირებს.

„კაჭკაჭების“ ზოგ ფანს კი ეს ამბავი არ მოსწონს. მავანმა ქომაგმა სტივ რაიტმა თქვა: „თუ მას გუნდში დააბრუნებენ, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია დაითვრეს და ვინმე მიბერტყოს. ეს უკვე გავიარეთ. კირონ დაიერი და ლი ბოიერიც გვეყოფა. ბარტონს „ნიუკასლის“ მაისურის ჩაცმის უფლება აღარ აქვს“.

თავქარიანი ჯოი ბარტონი დროდადრო გიჟდება. შარშან მაისში, როცა „სიტიში“ თამაშობდა, თანაგუნდელი უსმან დაბო ვარჯიშზე ისე მიბეგვა, რომ ნაცემს თვალები აღარ უჩანდა.

მანამდე „ევერტონის“ ფანებს ცუდად რაღაც ანიშნა ხელით, უფრო ადრე კი ტაილანდში შეკრებაზე „ევერტონის“ ტაილანდელი ქომაგი შემოელახა.

**ვაჟა ხუციშვილი**


დევიდ მოიესი

# მოიესი რჩება, უაინესი მიდის

**ლივერპულის** „ევერტონის“ მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი კლუბთან ახალი კონტრაქტის დადებასთან ახლოსაა. სავარაუდოდ, შოტლანდიელი სპეციალისტი ახალ ხელშეკრულებას ამ კვირაში გააფორმოს.

„კონტრაქტს ამ კვირის ბოლოს, ან უფრო ადრე მოვაწერ ხელს. მომავალში შევეცდები, რომ „ევერტონი“ მუდმივად განვითარების პროცესში იყოს და ინგლისის პრემიერლიგის უმაღლესი ადგილებისთვის იბრძოლოს. ახლა კი ჩვენთვის აუცილებელია გუნდის გაძლიერება, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართავ“ — აღნიშნა მერსისაიდელების დამრიგებელმა.

ამასობაში, „ევერტონის“ ხელმძღვანელობას ერთი წარმომადგენელი კიტ უაინესი დააკლდა, რომელიც თანამდებობიდან გადადგა და ესპანურ „მალიორკას“ მიაშურა, სადაც იგივე პოსტს დაიკავებს. აღსანიშნავია, რომ ბალეარული კლუბის აქციათა პაკეტი ამასწინათ ინგლისელმა ბიზნესმენმა შეიძინა, რაც, შესაძლოა, უაინესის გადასვლასთან იყოს დაკავშირებული.

უაინესი მთავარი ავტორია „ევერტონის“ ახალი, 50-ათასიანი სტადიონის პროექტისა, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დამტკიცდეს. ამ პროექტის მიხედვით, ახალი არენა ლივერპულის ფარგლებს გარეთ აშენდება, რამაც „ევერტონის“ გულშემატკივართა პროტესტი გამოიწვია.

**არჩილ ქოგახიძე**

# ალულუს სიტყვა კანონია

**„ბარსელონა“** ვალდებულია ლიონელ მესი ოლიმპიადაზე გაუშვას — განაცხადა ფიფამ.

საგანგებო კომიტეტმა საბოლოოდ დაადგინა და უბრძანა კლუბებს, რომ 23 წლამდე ფეხბურთელებს პეკინში წასვლის უფლება მისცენ.

ფიფამ არად ჩააგდო „ბარსას“ პრეზიდენტის ხუან ლაპორტას ფიცი-მტკიცი. პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ მესი გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის სჭირდება. ოლიპიადაზე კი იმ შემთხვევაში გავუშვებთ, თუ არგენტინა მეოთხედფინალში გავაო.

„ოლიმპიადის მატჩები ფიფას კალენდარში ზის თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს — ბრძანა კომიტეტის წარმომადგენელმა სლიმ ალულუმ — კლუბები ვალდებულები არიან, 23 წლამდე ფეხბურთელები ოლიმპიადაზე გაუშვან. ეს თითოეული მოთამაშისთვის თავის გამოჩენის შანსია და ახალგაზრდებისთვის ამის აკრძალვა გაუმართლებელია“.

**ვაჟა ხუციშვილი**


ლეო მესი

# რონალდინიომ სინგაპურთან გაილაღა

**რამდენიმე** დღის წინ „ბარსელონადან“ „მილანში“ გადასულმა რონალდინიომ საკმაოდ დიდი პაუზის მერე პირველად ითამაშა. ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში სინგაპურის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მთელი მატჩის განმავლობაში მინდორზე იყო და ძალიან შთამბეჭდავადაც იბურთავა.



რონალდინიომ ბრწყინვალედ გაატანინა დიეგოს. მეორე თავად შეაგდო ახლო მანძილიდან. წერტილი კი ჟომ დასვა 84-ე წუთზე. ბრაზილიელებს კიდევ ბევრი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ 3:0-ს დასჯერდნენ.

მცველი ალექს სილვა უხეშობისთვის გააძევეს, მაგრამ ბრაზილიელთა მწვრთნელი თავიანთი შეგირდების თამაშით მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ბრაზილიის ნაკრებს, რომელიც პეკინში ერთ-ერთი ფავორიტის რანგში მოემგზავრება და შეეცდება, ოლიმპიადა ისტორიაში პირველად მოიგოს, მორიგი ტესტ-მატჩი პირველ აგვისტოს ვიეტნამთან აქვს.

**ძოძი ძანდელაძი**



# რატომ გაიშვირა ანჩელოტიმ შუათითი?

## მილანმა და იუვემ ინტერი დატოვეს

**„ტროფეო ტიმი“** ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ამხანაგური ტურნირია იტალიაში, რომელშიც ერთმანეთს „ინტერი“, „მილანი“ და „იუვენტუსი“ ხვდებიან. თითოეული მატჩი 45 წუთს გრძელდება და ფრის შემთხვევაში გამარჯვებულის ვინაობას პენალტების სერია წყვეტს (ადრე ბულიტებს ასრულებდნენ). მოგება ჩვეულებრივ 3 ქულის ტოლია, ფრის შემდეგ გამარჯვება — ორის, ხოლო ფრის მერე მარცხი — ერთის. ამჯერად სერია A-ს ეს სამი გრანდი ერთმანეთს ტურინის „სტადიო ოლიმპიკოზე“ შეება.

„იუვენტუსისგან“ უკეთ თამაშს ელოდნენ, რადგან ტურინელებს სხვებზე ადრე ჰქონდათ დაწყებული მოსამზადებელი პერიოდი და თითქმის უდანაკარგოდ იყვნენ, მცირე ტრავმის გამო კრისტიანო ძანეტის არყოფნას თუ არ ჩავთვლით.

„მილანს“ ფილიპო ინძაგი, მარკო ბორიელო და მატიე ფლამინი ჰყავდა დაშვებული. რონალდინიო და ალეშანდრე პატო კი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადისთვის ემზადებიან. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა ახლახან მომჯობინებული კაკა, რომელიც თავდასხმაში ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის მეწყვილე იყო.

ცოტა მოულოდნელად, „როსონერიმ“ ბევრად აქტიურად დაიწყო და მე-7 წუთზე დაწინაურდა კიდეც, კლარენს ზეედორფმა დაახლოებით 20 მეტრიდან ბრწყინვალედ გაისროლა, ჯანლუიჯი ბუფონმა ბურთს თითები კი შეახო, მაგრამ ახლო ცხრიანში მაინც გაუშვა.

„იუვემ“ მყისვე იფხიზლა. მარკო მარკიონის მშვენიერ პასს დავიდ ტრეზეგე ჩაუწვა და ვარდნაში ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი ჟელკო კალაჩს. ეს გოლი ჩვენებური კახა კალაძის შეცდომას მოჰყვა. ფრანგმა თავდამხსმელმა კი წინასასეზონო პერიოდში პირველად შეძლო თავის გამოჩენა.

მე-12 წუთზე უკვე „ბიანკონერი“ იგებდა, ზდენეკ გრიგერას ჩაწოდებისას ბურთი კალაძეს მოხვდა და მარკიონისკენ წავიდა, მანაც კოხტა თავურით შეაგდო.

ეს ნამდვილად არ იყო კალაძის დღე, ჩვენებურმა ერთ ეპიზოდში, კრისტიან ბროკის პასის შემდეგ, დაახლოებით 6 მეტრიდან ბურთი კარს სასწაულებრივ ააცილა. მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ საბოლოოდ გატანა „მილანმა“ შეძლო — „როსონერის“ გოლი კუთხურს მოჰყვა, რომელიც ზეედორფმა კიდევ ერთი ძლიერი და ეფექტური დარტყმით დააგვირგვინა.

როგორც ჩანს, ჰოლანდიელ ნახევარმცველს ძალიან უყვარს „იუვენტუსის“ კარში გოლების გატანა, თან წყვილ-წყვილად. „ზეე“ იგივეს ჯერ კიდევ „ინტერში“ თამაშისასაც ახერხებდა.

პენალტების სერია დავიდ ტრეზეგეს ძლიერი და არაზუსტი დარტყმით დაიწყო. ტურინელთა მხრიდან თერთმეტმეტრიანი ტიაგუმაც გააფუჭა, მისი სუსტი დარტყმა ჟელკო კალაჩმა მოიგერია. გატანა კი ჯორჯო კიელინიმ და იაკვინტამ შეძლეს.

პირველი სამი პენალტი მილანელთა მხრიდან კაკამ, მარეკ იანკულოვსკიმ და ანდრეა პირლომ აქციეს გოლად. გადამწყვეტი, გამარჯვების დარტყმა კი პალოსკიმ შეასრულა.

შემდეგ მინდორზე „იუვენტუსი“ და „ინტერი“ გავიდნენ. ჟოზე მაურინიუს დაცვაში ისედაც ჰქონდა პრობლემები, ხოლო მე-7 წუთზე, როცა მარკო მატერაციმ მუხლის ტრავმა მიიღო, საქმე კიდევ უფრო გაურთულდა.

„იუვემ“ ორი ახალგაზრდა ტალანტი — ალბინ ეკდალი და ფაუსტო როსი ათამაშა. ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით როსიმ.

ტურინელთა ფანები მათთვის საძულველ დეიან სტანკოვიჩს გულიანად უსტვენდნენ, არადა „იუვენტუსში“ მისი გადაბარგება რამდენიმე დღის წინ რეალური იყო.

მე-20 წუთზე ამაური დაშავდა და კლაუდიო რანიერიმ იგი იაკვინტაში შეცვალა. გამარჯვების გოლის სწორედ ჩინებულ ფორმაში მყოფმა ექსუდინეზელმა გაიტანა. 27-ე წუთზე „ნერაძურის“ დაცვა ჩავარდა, იაკვინტამაც მშვიდად მიიღო შორეული პასი და ზუსტადაც დაარტყა.

მაურინიუმ რამდენჯერმე გადააწყო ტაქტიკა, მაგრამ „ინტერს“ არაფერი გამოუვიდა. ბოლო წუთზე კი მილანელები მეორე გოლს გადაურჩნენ — ალესანდრო დელ პიერომ ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ბურთი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს და გაშეშებულ ჟულიო სეზარს ხელებში მიუვიდა.

თუ „ინტერი“ ბოლო შეხვედრას 45 წუთში ან პენალტებით მაინც მიგებდა, ტურნირის გამარჯვებული „იუვენტუსი“ ხდებოდა. სხვა შემთხვევაში — „მილანი“.

„მინი მადონინა“ არცთუ მიმზიდველი სანახავი გამოდგა. „მილანის“ კარში ჩამდგარმა კრისტიან აბიატიმ ერთი-ორი რთული ბურთი მოიგერია და რამდენიმე მომენტი „ინტერის“ კართანაც შეიქმნა, მაგრამ გოლი არ გასულა და საქმე პენალტებამდე მივიდა.

პენალტების სერია „მილანმა“ დაიწყო და კაკამ ზუსტად დაარტყა. არც ადრიანო შემცდარა. სამაგიეროდ, მასიმო ოდოსა და ლუიშ ფიგუს მეკარეებმა აუღეს. შემდეგ იანკულოვსკიმ გაიტანა, აბიატი დავიდ სუასოს დარტყმულ ბურთს კი შეეხო, მაგრამ ვერ აიღო. ჯუზეპე ფავალიმ კარს გადააცილა, მაგრამ „ინტერი“ წინ ვერ გავიდა, რადგან აბიატიმ ბრწყინვალე ნახტომში უკუაგდო ლუის ხიმენესის დარტყმა. ამას ბროკისა და ახალგაზრდა სანტონის ზუსტი დარტყმები მოჰყვა. საქმე პირველ აცილებამდე მივიდა და კაკას ძმა დიეგო არ შემცდარა. აი, „ნერაძურის“ დებიუტანტი სულეი ალი მუნტარი კი უიღბლო გამოდგა, განელმა „ინტერში“ გადასვლიდან დაახლოებით 24 საათში გადამწყვეტი პენალტის გაფუჭება მოახერხა, კვლავ აბიატიმ იყოჩაღა და მატჩის გმირადაც იქცა. მან „მილანს“ „ტროფეო ტიმი“ მოაგებინა. 4 ქულითვე მეორეზე „იუვენტუსი“ გავიდა, „ნერაძური“ კი კინკილა ქულით — ბოლოზე.

აღსანიშნავია, რომ „როსონერის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ „იუვენტუსის“ ქომაგების გარკვეულ ჯგუფს შუათითი უჩვენა, რადგან გაუთავებელ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

კარლო ანჩელოტი: „დიახ, იმ ვაიქომაგებს შუათითი ვაჩვენე. უკან რომ დავბრუნდეთ, ალბათ იგივეს გავაკეთებდი. ვიდეოგამეორება არ არის საჭირო, რადგან არ მეშინია იმის თქმის, რაც გავაკეთე. ასე ცხოვრებაში პირველად და ალბათ უკანასკნელად მოვიქეცი. უბრალოდ, მათ შეურაცხყოფას მშვიდად ვერ მივიღებდი. საბედნიეროდ, ეს ქომაგთა მხოლოდ მცირე ჯგუფი იყო. ასეთ ხალხს სტადიონზე არაფერი ესაქმება. ჩემს გარდა, ისინი გაუთავებელ შეურაცხყოფას აყენებდნენ ჟოზე მაურინიუს, ჯანლუკა ძამბროტას, მარკო მატერაცისა და დეიან სტანკოვიჩს. ჩვენი თამაშით კმაყოფილი დავრჩი და მიხარია, რომ ტურნირი მოვიგეთ. თუმცა გოლები სულელურად გავუშვით. აბიატიმ ბრწყინვალედ ითამაშა და ეს მახარებს. ძირითადში ადგილისთვის მეკარეებს შორის დიდი ბრძოლა იქნება.

„ყველაფერი მომეწონა, რაც ვნახე. ვიცოდი, რომ ფორმის პიკს ვერ მივაღწევდით, მაგრამ ბიჭების მადლობელი ვარ. ფიზიკურად კარგად გამოვიყურებოდით და, რაც მთავარია, წინა სეზონთან შედარებით უფრო სწრაფები ვართ. მესიამოვნა ახალგაზრდების მშვენიერი თამაში. ყოველთვის მინდოდა, ყველა ფეხბურთელისთვის მიმეცა შანსი და ასეც მოხდა. ახლა ორი კარგი გუნდი გვყავს და ნელ-ნელა კიდევ უფრო ვიხვეწებით. თავდაუზოგავად ვშრომობთ, რათა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სათანადოდ გავისარჯოთ, მაგრამ იმ დროისთვის საუკეთესო ფორმაში მაინც ვერ ვიქნებით“ — თქვა რანიერიმ.

ჟოზე მაურინიუ: „კარგი ის არის, რომ ეს მხოლოდ ორი მინი-ამხანაგური მატჩი იყო, და მათი წაგების უფლება გვქონდა. მატერაცის ტრავმის შემდეგ მხოლოდ ერთი ნომინალური ცენტრალური მცველი დაგვრჩა. საერთოდ, დაცვის პრობლემა ძალიან მაღელვებს და ველოდები ექიმების დასკვნას მატერაცის თაობაზე. ძალიან ძნელი იქნება ცენტრში ნიკოლას ბურდისოსთვის ესტებან კამბიასოს ან ანდრეა მეის შეწყვილება. მნიშვნელოვანი მატჩები დაახლოებით ერთ თვეში იწყება და ვნახოთ, რა მდგომარეობა იქნება. რაც შეეხება მუნტარის, იგი ცოტა დაღლილი გახლდათ. ჩვენთან გადმოსვლამდე სულეი უკვე ვარჯიშობდა თავის ყოფილ კლუბთან ერთად, თან მასზე მგზავრობამაც იმოქმედა. მთლიანობაში კარგად გამოიყურებოდა და დავინახეთ, რომ გუნდის მონახაზში თავისუფლად ჩაჯდება“.

ბოლოს იმასლა დავძენთ, რომ ორგანიზატორებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ „მილანის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი დაასახელეს.

**გიორგი ძაძამაძე**



დამრიგებელ-შეგირდის თათბირი: ჟოზე მაურინიუ და პატრიკ ვიეირა



კაკამ „ტროფეო ტიმზე“ თავდამსხმელად ითამაშა

## ჟემალი გრენობლში

**ტუნისელი** ფეხბურთელი დავიდ ჟემალი საფრანგეთის პირველ დივიზიონში აღზევებულ „გრენობლში“ გადავიდა. კონტრაქტი ორ წელზეა გათვალისწინებული.

33 წლის მცველმა კი თავისი კარიერის უდიდესი ნაწილი — 11 წელიწადი — „ბორდოს“ შემადგენლობაში გაატარა.

## ფაბრეგასი ვარჯიშს შეუდგა

**ლონდონის** „არსენალის“ ნახევარმცველმა სესკ ფაბრეგასმა მცირე შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა.

ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ ევრო 2008-ის შემდეგ ესპანელ ნახევარმცველს დასვენების საშუალება მისცა. აქამდე სესკი გაადვილებული პროგრამით ვარჯიშობდა კოლო ტურესთან ერთად, რომელმაც ახლახან მალარია გადაიტანა.

## მანიშე 100 პროცენტით დარჩა

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ პორტუგალიელმა ნახევარმცველმა მანიშემ საბოლოოდ გადაწყვიტა კლუბში დარჩენა. გასულ სეზონში მას მადრიდელთა ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც „ინტერში“ იჯარით გაუშვეს.

წინა კვირას მანიშემ ამ ინციდენტის გამო ბოდიში მოიხადა, რასაც „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ენრიკე სერესო გაგებით გამოეხმაურა: „ჩვენ მანიშესთან პრობლემები გვქონდა, თუმცა ახლა იგი 100 პროცენტით „ატლეტიკოს“ მოთამაშეა“ — მხარში ამოუდგა პორტუგალიელს კლუბის პრეზიდენტი.

## კროსასს გლაზგოური იჯარა ელის

**ესპანური** „სევილიას“ შემდეგ, „ბარსელონას“ ახალგაზრდა ნახევარმცველ მარკ კროსასით შოტლანდიური „სელტიკიც“ დაინტერესდა.

გასული სეზონი 20 წლის ფეხბურთელმა ფრანგულ „ლიონში“ იჯარით გაატარა.

კატალონიელთა დამრიგებელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, კროსასი ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ესპანელი ფეხბურთელია და მის გაშვებას არ ვაპირებო.

ამ განცხადების მიუხედავად, დიდია იმის ალბათობა, რომ კროსასი შოტლანდიაში ასევე იჯარის წესით გაემგზავრება.

**არჩილ ძოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანსწრაფული პრიოდლი

**ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გრაცის „შტურმიდან“ გერმანულ „ვერდერში“ გადასული, ავსტრიის ნაკრების მცველი სებასტიან პრიოდლი უმალვე დამკვიდრდა ბრემენელთა ძირითად შემადგენლობაში. თუმც ამაში მას პერ მერტეზაკერის ტრავმა დაეხმარა. ასეა თუ ისე, მომავალ სეზონში 21 წლის მცველს სასტარტო თერთმეტეულზე ექნება პრეტენზია და ვინ იცის, ეგებ სანადელს მიაღწიოს კიდეც. პრიოდლს „ბილდი“ გაესაუბრა**



**— გიჭირთ გერმანულ ფეხბურთთან შეგუება?**

— ავსტრიაში სეზონში 30 მატჩის ჩატარება მიწევდა, აქ კი დაახლოებით 60 შეხვედრა იქნება. ამიტომაც წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდი უფრო დატვირთული და სერიოზულია. ჯერჯერობით ზუსტად ისე ვვარჯიშობ, როგორც დანარჩენი თანაგუნდელები, მაგრამ სხვებთან შედარებით უფრო მიჭირს.

**— ნალდოს როგორ შეეწყვეთ? კარგად გამოგდით პარტნიორობა?**

— ჩვენს კარში გასული გოლები იმას მიანიშნებს, რომ სამუშაო ბევრია. მოსამზადებელი პერიოდისას ილლები და ბევრ შეცდომას უშვებ. თუმცა მე და ნალდო ერთმანეთს ბევრს ველაპარაკებით და ვფიქრობ, ჩვენი თამაში გაუმჯობესდება და დაიხვეწება.

**— შეტევებში ჩართვაც კარგად გეხერხებათ და რამდენიმე გოლი უკვე გაიტანეთ. „ვერდერის“ ქომაგები მომავალ სეზონში თქვენგან გოლებსაც უნდა ელოდნენ?**

— ეს ჩემი დამატებითი იარაღია. გოლების გატანაში სიმაღლე მეხმარება. სპეციალურად ვვარჯიშობ ამაზე, რათა გოლები შემდგომშიც გამქონდეს.

**— რა მიზნებს ისახავთ?**

— პრინციპულად მოკრძალებული მიზნები მაქვს. შემოდგომამდე მინდა, რაც შეიძლება ხშირად გამოვჩნდე „ვერდერის“ ძირითად შემადგენლობაში. ზამთარში უკვე სხვა მიზანს დავისახავ და ასე შემდეგ.

**— ანდრეას ჰერცოგთან თუ მეგობრობთ? მან „ვერდერზე“ რამე გირჩიათ?**

— დიახ, მაგალითად ის, რომ აუცილებლად სტადიონთან ახლოს უნდა ვიცხოვრო. „ვერდერზე“ ბევრი რამ მითხრა, მათ შორის ისიც, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის მშვენიერი კლუბია.

**— ის თუ გითხრათ ჰერცოგმა, როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეთ გუნდის ვარსკვლავებთან?**

— რასაკვირველია, ტორსტენ ფრინგსის, დეიგოსა და მერტეზაკერის დარ ფეხბურთელებთან ერთად თამაში საოცნებოა. თუმცა დიდხანს გაოცებული რომ ვიყო, არ შეიძლება. უნდა ვიმოქმედო და მივუახლოვდე მათ.

**— ავსტრიაში ახალგაზრდა ბრუნო პეცაიდ მიგიჩნევენ–**

— ეს ჩემთვის დიდი პატივია! ბრწყინვალე იქნებოდა, სპორტული კუთხით მისნაირად წარმატებული რომ გავხდე.

# ასი გრამი ჯინ-ტონიკით

**სიმთვრალის** გამო მსაჯობიდან სამუდამოდ მოკვეთილმა ფიფას არბიტრმა სერგეი შმოლიკმა თავი იმართლა.

ორიოდე კვირის წინ ბელარუსის ჩემპიონატის მატჩში შმოლიკი შებუჟბუჟებული გავიდა მოედანზე; სტვენა-სტვენაში სასმელი მოეკიდა, ქანაობა დაიწყო, მაგრამ თამაში გმირულად ჩაამთავრა და გმირულადვე დაეცემოდა მოედანზე, ხელი რომ არ შეეშველებინათ.

მობარბაცე არბიტრი ნამატჩევს ხელს უქნევდა ქომაგებს და გადაწეული ძლივს წაიყვანეს გასახდელში.

ექიმებმა შეამოწმეს და სისხლი ალკოჰოლით ჰქონდა გაჟღენთილი. რასაკვირველია, ამის მერე მსაჯს სასტვენი ჩამოართვეს და სტვენა სამუდამოდ აუკრძალეს.

სერგეი შმოლიკი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს: „ფსიქოლოგიურად განადგურებული ვარ. მხოლოდ ჩემი ოჯახი მიდგას გვერდში და მხოლოდ მათთვის ვარსებობ. სრულიად უდანაშაულო ვარ. მართალია, მატჩამდე ალკოჰოლზე შემოწმება არ გამივლია, მაგრამ მთვრალი არ ვყოფილვარ.

პირველ ტაიმში ნორმალურად ვიმსაჯე. არცერთ გუნდს პრეტენზია არ ჰქონია. მატჩის დასრულებამდე 15-20 წუთით ადრე ხერხემალში ტკივილი ვიგრძენი და თვალებში დამიბნელდა. მაგრამ გამოცდილების ხარჯზე თამაში ჩავამთავრე. ხელი კი მოედნიდან გასვლისას მაყურებელს გამოსამშვიდობებლად დავუქნიე. ვიფიქრე, ტრავმის გამო ეს ჩემი ბოლო მატჩია-მეთქი.

მატჩამდე წვეთი არ დამილევია, მერე კი ტკივილის გასაყუჩებლად სასტუმროში ასი გრამი არაყი და ნახევარი ბოთლი ჯინ-ტონიკი მივირთვი.

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვამბობდი, რომ წელი მაწუხებდა, რადგან „დნეპრი“ — „ვიტებსკის“ სათა-



სერგეი შმოლიკი

სო შეხვედრაში ვიტკინე და ამას „დნეპრის“ ექიმიც დამიდასტურებს. მაშინ გადავწყვიტე, რომ წელის ტკივილის გამო სეზონის ბოლოს კარიერას დავასრულებდი. ახლა ისღა დამრჩენია, სამსაჯო სკოლაში ვიმუშაო“.

**გაჟა ხუციშვილი**

## უეფამ ევროთი იხეირა

**ევრო 2008**-ის ჩატარებით უეფას შემოსავალმა 250 მილიონი ევრო შეადგინა, რაც ასეთი დონის ტურნირებისთვისაც კი სარეკორდო მაჩვენებელია. მოგებული თანხის ნაწილი ბავშვთა და ქალთა ფეხბურთს მოხმარდება, ნაწილი კი სამწვრთნელო და სამსაჯო საქმიანობი განვითარებაში ჩაიდება.

## სიტი ჯონსონს იბევებს

**„მანჩესტერ სიტიმ“** ნახევარმცველ მაიკლ ჯონსონს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ „ქალაქელებთან“ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა კლუბთან მოლაპარაკება მაინც დაიწყო.

## მალეღს ესპანეთში უნდა

**ფრანგული** „ლანსის“ ნახევარმცველი სიდი კეიტა შესაძლოა, ესპანეთში გადავიდეს. 23 წლის ფეხბურთელით პრიმერადივიზიონში აღზევებული „მალაგაა“ დაინტერესებული. მალის ნაკრების ფეხბურთელზე „ოსერი“ და „ტულუზიც“ გამოთქვამენ პრეტენზიას.

## პაულეტა ესპანიოლში?

**ბარსელონის** „ესპანიოლი“ პედრო პაულეტათი დაინტერესდა. პსჟ-ს და „ბორდოს“ ყოფილი ფეხბურთელი ამჟამად თავისუფალი აგენტია. 35 წლის პაულეტას პორტუგალიის ნაკრებში 88 თამაში აქვს ჩატარებული და 47 გოლიც გაუტანია.

## გარეთი კმაყოფილია

**პრემიერლიგის** „მიდლსბროს“ მთავარმა მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა განაცხადა, რომ სავსებით კმაყოფილია მის ხელთ არსებული შემადგენლობა და მოთამაშეების დამატებას აღარ აპირებს.

„კონკურენციის შესაქმნელად, რა თქმა უნდა, ზოგიერთი პოზიციის გაძლიერება შესაძლებელია, თუმც მთლიანობაში კმაყოფილი ვარ ფეხბურთელებით, რომლებიც მყავს და წარმატებულ სეზონს ველი“ — განაცხადა ინგლისელმა სპეციალისტმა.

## დეზები ფულს ხარჯავენ

**„ტოტენჰემ ჰოთსპურის“** ხელმძღვანელობა დევიდ ბენტლის და ანდრი არშავინის შესაძენად მზადაა, 36 მილიონი გირვანქა დახარჯოს. ინგლისური პრესის ცნობით, „დეზები“ „ბლექბერნისა“ და „ზენიტის“ ხელმძღვანელობას უკვე შეუთანხმდნენ. ლონდონელები ინგლისელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 17 მილიონ გირვანქას გაიღებენ, ხოლო ევრო 2008-ზე გამობრწყინებულ რუს ფეხბურთელში 19 მილიონს ჩამოვლენ. ანდრეი არშავინს „ტოტენჰემთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად გაერთიანებულ სამეფოში სამუშაო ვიზის მიღება სჭირდება.

## ტოტი და სტიაუა?

**ბუქარესტის** „სტიაუას“ მფლობელმა ჯიჯი ბეკარიმ განაცხადა, რომ რამდენიმე წელიწადში „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, შესაძლოა, მის კლუბში გადმობარგდეს.

„ფრანჩესკოს მოსწონს ჩვენი კლუბი და, სავარაუდოდ, კარიერას სწორედ აქ, ბუქარესტში დაასრულებს“ — თქვა რუმინელთა პრეზიდენტმა.

## გომესი შვაბი პატრიოტია

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მრავალმილიონიანი შემოთავაზების მიუხედავად, მარიო გომესმა მაინც „შტუტგარტში“ დარჩენა გადაწყვიტა.

„შტუტგარტთან“ ჩემი კონტრაქტი 2012 წლამდეა გათვალისწინებული, თანაც არასდროს მითქვამს, რომ ამ ზაფხულს კლუბის დატოვება მსურდა... ვფიქრობ, აქ კიდევ დიდხანს დავრჩები“ — აღნიშნა გომესმა.

ამავდროულად, მიუნხენელთა ერთ-ერთი მმართველი კარლ-ჰაინც რუმენიგე არ კარგავს იმედს, რომ სეზონის განმავლობაში გერმანიის ნაკრების შვაბი თავდამსხმელი მაინც გადაბარგდება ბავარიულ კლუბში.

## ესკერო ოსასუნაში გადავიდა

**პამპლონის** „ოსასუნას“ სანტიაგო ესკეროს სახით ახალი თავდამსხმელი ჰყავს. 31 წლის ფეხბურთელმა ნავარელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ესკერო უკანასკნელად კატალონიურ „ბარსელონაში“ ირიცხებოდა, სადაც სამი წელი გაატარა.

## სოლდადო თითქმის ხეტაფელია

**მადრიდის** „რეალის“ ფორვარდი რობერტო სოლდადო „ხეტაფესთან“ ოთხწლიან ხელშეკრულებას დადებს. კასტილიელები მის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს მიიღებენ და პლუს 2 მილიონს, თუ სოლდადო კონტრაქტით გათვალისწინებულ გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებს. 23 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში „სამეფო კლუბის“ შემადგენლობაში მხოლოდ 5 მატჩი ჩაატარა.

## ჰართსის და ჰიბერნიანის ჯარიმა

**შოტლანდიის** ფეხბურთის ასოციაციამ ედინბურგის „ჰართსი“ 40 ათასი გირვანქით დააჯარიმა. ამის მიზეზად კლუბის ფეხბურთელების უდისციპლინობა სახელდება. სეზონის განმავლობაში დედაქალაქელებმა 9 წითელი და 81 ყვითელი ბარათი მიიღეს. შოტლანდიის პრემიერლიგის კიდევ ერთი კლუბი — „ჰიბერნიანი“ კი 10 ათასი გირვანქით დაჯარიმდება.

**არჩილ ძოწახიძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 50 | კლაიდი-მორტონი | 2.20 | 3.50 | 2.60 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 18:00 | 51 | პარტიკი-დანფერმლაინი | 2.25 | 3.50 | 2.50 | 1.36 | 1.18 | 1.45 |
| 18:00 | 52 | ქუინი-ერდრი | 1.55 | 3.75 | 4.50 | 1.09 | 1.15 | 2.04 |
| 18:00 | 53 | როსი-დანდი | 2.50 | 3.50 | 2.25 | 1.45 | 1.18 | 1.36 |
| 18:00 | 54 | სტ.ჯონსტონი-ლივინგსტონი | 1.65 | 3.60 | 4.00 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 55 | არბროთი-ალოა | 2.50 | 3.40 | 2.30 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 56 | ეარი-რეითი | 2.20 | 3.50 | 2.60 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 18:00 | 57 | ბრეჩინი-სტირლინგი | 2.10 | 3.50 | 2.75 | 1.31 | 1.19 | 1.53 |
| 18:00 | 58 | ისტ ფაიფი-პიტერჰედი | 1.90 | 3.40 | 3.25 | 1.21 | 1.19 | 1.66 |
| 18:00 | 59 | ქუინზ პარკი-სტრანრარი | 2.10 | 3.50 | 2.75 | 1.31 | 1.19 | 1.53 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 60 | ალბიონი-ფორფარი | 2.35 | 3.50 | 2.35 | 1.40 | 1.17 | 1.40 |
| 18:00 | 61 | ბერიკი-ისტ სტირლინგი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 63 | დამბარტონი-მონტროუზი | 1.85 | 3.50 | 3.40 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 18:00 | 64 | სტენჰაუზმური-ელგინი | 1.75 | 3.60 | 3.75 | 1.17 | 1.19 | 1.83 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 67 | მატერსბურგი-ალტახი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 68 | რაპიდი-კაფენბერგი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 65 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.35 | 4.20 | 7.25 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| 19:00 | 66 | შტურმი-აუსტრია | 2.20 | 3.25 | 2.80 | 1.31 | 1.23 | 1.50 |
| 21:30 | 69 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 1.80 | 3.25 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.75 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 70 | ლუსტენაუ-აუსტრია(მ) | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 20:00 | 71 | ვოკლაბრიუკი-ნეუსტადი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 20:00 | 72 | გრატკორნი-ზალცბურგი მ | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 73 | ადმირა-აუსტრია ლუსტენაუ | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 75 | ლეობენი-სტ.პოლტენი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 74 | ინსბრუკი-გროდიგი | 1.40 | 4.00 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.44 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:45 | 76 | სიონი-ბაზელი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 19:45 | 79 | ქსამაქსი-აარაუ | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 77 | ბელინცონა-ლუცერნი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 78 | ვადუცი-გრასჰოპერი | 2.80 | 3.25 | 2.20 | 1.50 | 1.23 | 1.31 |
| 18:00 | 80 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 2.00 | 3.25 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.63 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 22 | აიაჩო-შატორუ | 1.90 | 2.90 | 4.15 | 1.14 | 1.30 | 1.70 |
| 22:00 | 23 | ტრუა-ბასტია | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 22:00 | 24 | ამიენი-ბულონი | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 22:00 | 25 | ანჟე-რეიმსი | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 22:00 | 27 | ლანსი-დიჟონი | 1.45 | 3.60 | 6.40 | 1.03 | 1.18 | 2.30 |
| 22:30 | 28 | გენგამი-მეცი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 108 | პლზენი-ჟიჟკოვი | 1.70 | 3.35 | 4.65 | 1.12 | 1.24 | 1.94 |
| 21:00 | 109 | ბანიკი-კლადნო | 1.30 | 4.25 | 8.40 | 1.00 | 1.12 | 2.82 |
| 21:00 | 111 | ზლინი-იაბლონეცი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 19:00 | 112 | სპარტა-ბოლესლავი | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 105 | ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 1.55 | 3.40 | 5.70 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| 22:00 | 106 | ლიბერეცი-სლავია | 2.65 | 3.00 | 2.50 | 1.40 | 1.28 | 1.36 |
| 19:00 | 107 | პრჟიბრამი-ბრნო | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 110 | ბოჰემიანსი -სიგმა | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 140 | ვეილე-ოლბორგი | 3.75 | 3.35 | 1.85 | 1.76 | 1.23 | 1.19 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 139 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 1.85 | 3.45 | 3.60 | 1.20 | 1.22 | 1.76 |
| 16:00 | 141 | მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1.50 | 3.70 | 5.75 | 1.06 | 1.18 | 2.25 |
| 19:30 | 142 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 18:00 | 143 | ოდენსე-ორჰუსი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 144 | სიონდერიისკე-კოპენჰაგენი | 8.00 | 4.70 | 1.30 | 2.96 | 1.11 | 1.01 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 148 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 20:00 | 151 | ბრანი-ჰამ კამი | 1.45 | 3.75 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.30 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 146 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 20:00 | 149 | ვიკინგი-ლინი | 1.90 | 3.25 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.66 |
| 20:00 | 150 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:00 | 152 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.35 | 3.25 | 2.50 | 1.36 | 1.21 | 1.41 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 147 | მოლდე-ალესუნდი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 165 | გიოტებორგი-მალმიო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 166 | ჰამარბი-ლიუნგსკილე | 1.40 | 3.75 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.44 |
| 20:00 | 167 | გეფლე-ჰალმსტადი | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 20:00 | 168 | ტრელებორგი-იორებრო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 170 | ელფსბორგი-გაის | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 171 | კალმარი-აიკ | 1.90 | 3.25 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.66 |
| 21:00 | 172 | ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | 1.40 | 3.75 | 6.00 | 1.01 | 1.13 | 2.30 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 190 | ტამპერე-როვანიემი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 191 | მარიეჰამნი-მიუპა | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 19:30 | 192 | ჰონკა-იარო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 19:30 | 193 | კუოპიო-ჰაკა | 2.80 | 3.10 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.30 |
| 19:30 | 194 | ვპს-ლაჰტი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 195 | ინტერი-ტურკუ | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 23:00 | 209 | ფინ ჰარპსი-გალვეი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:45 | 210 | ბოჰემიანი-კობი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 22:45 | 211 | დერი-შემროკი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:45 | 212 | დროგედა-ბრეი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 208 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 18:00 | 213 | სლიგო-კორკი | 2.85 | 3.00 | 2.25 | 1.46 | 1.25 | 1.28 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 04:50 | 232 | ფიგეირენსე-სან პაულუ | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 04:50 | 233 | პალმეირასი-ფლამენგო | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 02:30 | 234 | ვიტორია-ატლეტიკო პრ | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 02:30 | 235 | კრუზეირო-ნაუტიკო | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 03:30 | 236 | პორტუგესა-ფლუმინენსე | 2.20 | 3.25 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.51 |
| 03:30 | 237 | ბოტაფოგო-გოიასი | 1.50 | 3.75 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.22 |
| 04:50 | 238 | ინტერნასიონალი-სანტოსი | 1.55 | 3.75 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.14 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 03:30 | 239 | ვასკუ და გამა-ატლეტიკო მნ | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 03:30 | 240 | სპორტ რისიფე-იპატინგა | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 03:30 | 241 | კურიტიბა-გრემიო | 2.10 | 3.25 | 2.85 | 1.27 | 1.20 | 1.51 |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 264 | ოლიმპიკ ბაქო-ვოივოდინა | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:30 | 265 | ბორაცი-დაჩია | 1.45 | 3.25 | 5.25 | 1.00 | 1.13 | 2.00 |
| 19:00 | 266 | მეტალურგსი-გლენტორანი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 19:00 | 267 | კუმანოვო-ომონია | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 19:45 | 269 | ფლორა-იურგორდენი | 3.85 | 3.30 | 1.75 | 1.77 | 1.20 | 1.14 |
| 20:00 | 270 | ვიკინგი-ვეტრა | 1.20 | 5.10 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.25 |
| 20:00 | 271 | ჰაკა-კორკი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 20:00 | 272 | ნისტრუ-პერტა | 7.50 | 4.30 | 1.30 | 2.73 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 273 | გომელი-ლეგია | 4.20 | 3.30 | 1.65 | 1.84 | 1.18 | 1.10 |
| 21:00 | 274 | აპოელი-პელისტერ ბიტოლა | 1.20 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.18 |
| 21:00 | 276 | მიდტიულანდი-ბანგორი | 1.04 | 8.50 | 17.50 | 1.00 | 1.00 | 5.72 |
| 21:30 | 277 | ბ36 ტორშავნი-ბრიონდბიუ | 7.50 | 4.25 | 1.30 | 2.71 | 1.10 | 1.00 |
| 21:30 | 278 | ჟილინა-მტზ რიპო | 1.30 | 4.10 | 6.80 | 1.00 | 1.09 | 2.55 |
| 22:00 | 280 | დებრეცენი-შახტარ კარაგანდა | 1.20 | 5.00 | 9.20 | 1.00 | 1.06 | 3.23 |
| 22:00 | 282 | კოპენჰაგენი-კლიფტონვილი | 1.04 | 8.00 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.53 |
| 22:00 | 283 | პარტიზან ტირანა-შიროკი ბრიეგი | 1.75 | 3.30 | 3.70 | 1.14 | 1.18 | 1.74 |
| 22:00 | 284 | ბრანესი-ჰონკა | 3.00 | 3.20 | 1.95 | 1.54 | 1.18 | 1.21 |
| 22:00 | 285 | ვლაჟნია-კოპერი | 2.15 | 3.15 | 2.75 | 1.27 | 1.20 | 1.46 |
| 22:15 | 286 | ბელინცონა-არარატი | 1.30 | 4.30 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.71 |
| 22:30 | 287 | აუსტრია-ტობოლი | 1.20 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 3.00 |
| 22:30 | 288 | სტ.ჯულია-ჩერნო მორე | 8.00 | 4.50 | 1.25 | 2.88 | 1.08 | 1.00 |
| 22:30 | 290 | იუვენესი-აპოელ თ ა | 8.50 | 5.20 | 1.20 | 3.22 | 1.05 | 1.00 |
| 20:00 | 291 | ბირკირკარა-ჰაიდუკი | 6.80 | 4.10 | 1.35 | 2.55 | 1.12 | 1.01 |
| 22:45 | 293 | ლეხი-ხაზარი | 1.30 | 4.30 | 7.20 | 1.00 | 1.10 | 2.69 |
| 22:45 | 294 | სტ.პატრიკსი-ოლიმპს რიგა | 1.15 | 5.30 | 9.00 | 1.00 | 1.01 | 3.33 |
| 23:00 | 295 | სიტი-სტრიმური | 1.01 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 331 | დონკასტერი-ბოლტონი | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 20:30 | 332 | ტოტენჰემი-სელტიკი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:30 | 333 | ჰერეფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 22:45 | 334 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 23:00 | 335 | ჰერტა-ნიუკასლი | 2.35 | 3.25 | 2.50 | 1.36 | 1.21 | 1.41 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 336 | რეალი-ჰამბურგი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 18:00 | 338 | ალდერშოტი-ჩარლტონი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 18:00 | 339 | ბარნეტი-უოტფორდი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 18:00 | 340 | ბარტონი-ჩესტერფილდი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 341 | ქრიუ-პრესტონი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 342 | ექსეტერი-მილუოლი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 343 | ჰიბერნიანი-მიდლსბრო | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 344 | ჰადერსფილდი-შეფილდი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 345 | ლუტონი-ბრაიტონი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 346 | მორიკომბი-კარლაილი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 18:00 | 347 | ნოტსი-ნოტინგემი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 18:00 | 348 | რეინჯერსი-ლივერპული | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 349 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 350 | როტერჰემი-ჰარტლპული | 2.50 | 3.40 | 2.30 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 351 | უენსდი-უიგანი | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 352 | შრიუსბერი-სტოკი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 18:00 | 353 | სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 354 | ტრანმერე-ბლეკპული | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 355 | უოკინგი-ბრენტფორდი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 356 | ვულვერჰემპტონი-ბლეკბერნი | 2.50 | 3.40 | 2.30 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 357 | ბრედფორდი-ოლდემი | 2.40 | 3.40 | 2.40 | 1.40 | 1.20 | 1.40 |
| 18:00 | 358 | ბირმინგემი-ფულემი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 359 | მანჩესტერი-ესპანიოლი | 1.30 | 4.30 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.66 |
| 18:00 | 360 | სკანთორპი-გრიმსბი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 19:00 | 361 | არსენალი-იუვენტუსი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 20:00 | 362 | ნორვიჩი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერერი ბეწვის ხიდზე გაატარეს

**კაცები**
ცინცინატის მასტერსი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 2 615 000 $

**პირველი წრე**

**კარლოს მოია** (ესპანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:6 7:5; **ჯონ აიზნერი** (აშშ) — ანდრეა სტოპინი (იტალია) 7:6 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — რადეკ შტეპანეკი (15, ჩეხეთი) 7:6 6:7 7:6; **რიშარ გასკე** (11, საფრანგეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 3:6 6:1 1:0 (უარი); **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — რაჟეევ რემი (აშშ) 7:6 6:4; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ტომას იონაპსონი (შვედეთი) 7:6 6:7 6:3; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — კევინ ანდერსონი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 7:6; **ნიკოლას ლაპენტი** (ევადორი) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 7:6 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (10, ესპანეთი) — ვიქტორ ესტრელა (დომინიკის რესპუბლიკა) 6:3 7:5; **კრის გუჩიონე** (ავსტრალია) — ჯეს ლევაინი (აშშ) 6:4 6:3; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 4:6 7:6 6:4

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7 7:6 6:0; **ივო კარლოვიჩი** (16, ხორვატია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3 7:6; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) 7:6 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ვუნგ-სუნ იუნი (სამხრეთ კორეა) 6:2 6:2

**ქალები**
მონრეალი. კანადა. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

**ვიქტორია აზარენკა** (11, ბელარუსი) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:1 6:1; **ნადია პეტროვა** (12, რუსეთი) — მარი-ივ პელეტიე (კანადა) 6:0 6:1; **მარია კირილენკო** (13, რუსეთი) — ენ კეოტოვანგი (ბრიტანეთი) 6:1 7:5; **ფლავია პენეტა** (15, იტალია) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 1:6 7:5 6:3; **აი სუგიამა** (იაპონია) — ნიკოლ ვაიდიშოვა (16, ჩეხეთი) 6:3 3:6 6:2; **ჟილ კრეიბასი** (აშშ) — შერონ ფირხმანი (კანადა) 6:4 6:3; **მარტა დომახოვსკა** (პოლონეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 7:5 6:2; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — მონიკ ადამჩაკი (ავსტრალია) 6:7 6:1 6:2; **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) — აშა როლე (აშშ) 6:4 6:2; **მელინდა ცინკი** (უნგრეთი) — ჯულია დიტი (აშშ) 7:6 6:0; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:2 1:6 7:5

**მეორე წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 1:0 (უარი); **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:2 6:4; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) 6:3 1:6 7:6

**ქალები**
პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

**პირველი წრე**

**აგნეშკა რადვანსკა** (1, პოლონეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2 6:3; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ანგელიკ კერბერი (გერმანია) 6:3 6:4; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — მარინა ერაკოვიჩი (8, ახალი ზელანდია) 6:3 6:4; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 7:6 6:3; **ჯოანა ლარსონი** (შვედეთი) — ჯული გორჯესი (გერმანია) 3:6 7:6 6:4; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — მარია ჯოზე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) 3:6 7:6 6:2; **მარია კორიცევა** (უკრაინა) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:3 6:4


რობი ჯინეპრი


როჯერ ფედერერი

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ როჯერ ფედერერი არ დაკარგავს ნომერ პირველი ჩოგნის სტატუსს. ყოველ შემთხვევაში ცინცინატიში მაინც — ასე რომ ოლიმპიადას ალპელი ისევ საჩოგბურთო მწვერვალზე შეხვდება. რატომ?

იმიტომ, რომ გუშინ შვეიცარიელმა ბეწვის ხიდზე გაიარა რობი ჯინეპრისთან შეხვედრაში, მაგრამ მაინც იხეირა. ამის პარალელურად ტურნირზე თამაშზე ხელი აიღო ენდი როდიკმა, რომელსაც მხარი აწუხებს. კარგად მოგეხსენებათ, რომ ფედერერს თავისი ტახტის შესანრჩუნებლად ნახევარფინალში გასვლა სჭირდება — ალპელმა კი ამისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. თან როდიკის უარის შემდეგ „მხიარულ როჯერს" ნახევარფინალამდე არც ერთი სერიოზული მეტოქე აღარ შერჩა და ამიტომაც გვგონია, რომ პროგრამა მინიმუმს შვეიცარიელი აუცილებლად შეასრულებს.

არადა, გუშინ როჯერი ძალიან ახლოს მივიდა მარცხთან. ჯინეპრიმ აასრულა მატჩის წინ დანაქადნევი და ალპელს ნამდვილი ომი გაუმართა. ამერიკელი სრულიად არ ღელავდა და მეტოქეს როგორც ტოლსწორს ისე უცქერდა. პირველ სეტში იანკი რომ დააბრეიკეს, იგი არ ალელვებულა და მალევე საპასუხო დარტყმა მიაყენა თანამედროვე ჩოგბურთის ჯერაც პირველკაცს. შემდეგ საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ჯინეპრიმ ადვილად იხეირა და ფედერერი ფსიქოლოგიურად ძალიან დაამძიმა.

მეორე პარტიაც თანაბარი გამოდგა. შვეიცარიელი ვერაფრით ახერხებდა გადამწყვეტი გარდატეხის შეტანას. ეგ კი არა და, ამერიკელი უფრო ახლოს იყო მატჩის მოგებასთან, ვიდრე როჯერი ანგარიშის გათანაბრებასთან — ჯინერპის 6:5 მიჰყავდა და აწოდებდა. თუმც აქ მაინც გამოკრთა ფედერერის ძველი დიდების ნაპერწკლები და ალპელმაც თავისთვის ამ მეტად მძიმე მომენტში შეძლო ბრეიკის გაკეთება და კიდევ ერთ ტაიბრეიკზე თამაშის უფლების მოპოვება. მატჩის გადამწყვეტი მომენტიც ეს გამოდგა, რადგანაც გამოუყენებელი შანსი მძიმედ დააწვა იანკის ნერვებს — მან ვერც საჩოგბურთო ლატარიაში და ვერც გადამწყვეტ სეტში ვერ შეძლო ხეირიანად ჩოგნაობა და ფედერერი წინ გაატარა.

„ვფიქრობ მთელი შეხვედრის განმავლობაში მე უკეთ ვთამაშობდი. უბრალოდ რამდენიმე მომენტი გავანიავე და ამის გამო შეხვედრა იმაზე მეტად დაიძაბა ვიდრე საჭირო იყო. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი და ამ ყველაფერს თავი გავართვი" — ახალი არაფერი უთქვამს ნამატჩევს დიად ალპელს.

მესამე წრეში ფედერერს აყლაყუდა ივო კარლოვიჩთან მოუწევს დატაკება და თუ რამე ზღვარგადასული სისულელეები არ ჩაიდინა, ძნელი წარმოსადგენია წააგოს. თავად ბალკანელი კი გუშინ ხოსე აკასუსოს ძალიან დამაჯერებლად გაუმკლავდა.

სხვა მატჩებიდან ვეტერანი არნო კლემანის გამარჯვებაა გამოსაყოფი. ფრანგი ძლიერი მოწოდებით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ გუშინ ისეთი რამ გააკეთა, აქამდე ერთხელაც რომ არ უქნია — კარიერაში უმეტესი, 25-ჯერ ჩააეისა და შანსი არ დაუტოვა მეორე ვეტერან ტომას იოჰანსონს.

წააგო ორმა განთესილმაც — პირველი წრის შეხვედრაში რადეკ შტეპანეკმა ვერაფრით გატეხა იგორ ანდრეევი და უმძიმეს, სამ ტაიბრეიკიან შეხვედრაში მაინც დამარცხდა. აი, ტომი რობრედომ მეორე წრეს კი უწია, მაგრამ აქ უკვე ველარაფერს გახდა რობინ სოდერლინგთან.

ნელ-ნელა ხურდება მონრეალის დია წარმომადგენლობითი ქალთა ტურნირიც, სადაც გუშინ კორტებზე პირველად გავიდნენ ფავორიტები და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უილბლოდ, რადგანაც კანადიდან რამდენიმე ბობოლა დაითხოვეს.

რუსებს განსაკუთრებით არ გაუმართლათ, რადგანაც მათ ელენა დემენტიევა და ვერა ზვონარიოვა დაკარგეს. პირველს დომინიკა ციბულკოვამ აჯობა — უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშნვა, რომ ეს ახალგაზრდა სლოვაკი წლეულს ძალიან გაიწაფა ბობოლა რუსთა გამწარებაში. უშუალოდ დემენტიევა კი ციბულკოვამ ამ სეზონში უკვე მეორედ გააწბილა.

ზვონარიოვას კი ვირჟინი რაზანო გაუსწორდა, თუმც საამისოდ სამი სეტის გამართვა დასჭირდა.

**ბახა ლომაშვილი**



# ისინბაევა 5,04

**ქალთა** ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი, რუსი ელენა ისინბაევა ისე გამოაცოცხლა ამერიკელი ჯენ სტუჩინსკის წლევანდელმა წარმატებებმა, რომ მანამდე ორი წელი უქმად მყოფმა ახლა სერიოზული ვარჯიში იკადრა და მოკლე დროში უკვე მეორედ გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ოთხშაბათს მონტე კარლოს გრან პრიზე რუსი მეჭოკე მესამე ცდაზე გადაევლო 5 მეტრსა და 4 სანტიმეტრს და ერთი სანტიმეტრით აამაღლა მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მაღალი შედეგი. ისინბაევასთვის ეს რეკორდი რიგით 23-ე გახლავთ და ასეთი შედეგებით და საბრძოლო განწყობით ის ოლიმპიადასაც მიიღებს. დღეს მსოფლიოში არ არსებობს ქალი, რომელიც ჭოკს მისებრ კარგად ხმარობდეს და მისი მეშვეობით 5 მეტრზე მაღლა დაფრინავდეს.

მონტე კარლოში საინტერესო ბევრი რამ მოხდა, მათგან კი უცილობლად გამოსარჩევია ასაფა პაუელის მორიგი გამარჯვება. კაცებში 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი ტრავმის შემდეგ ოპტიმალურ ფორმაში შედის. 26 წლის იამაიკელმა ზედიზედ სამი ტურნირი მოიგო, თან მისი შედეგები დადებითი პროგრესით ვითარდება — სტოკჰოლმში მან 100 მეტრი 9,94 წამში ირბინა, ლონდონში 9,88 შედეგი დააფიქსირა, ახლა მონტე კარლოში კი 100 მეტრი 9,82 წამში დაფარა და სეზონის პირადი რეკორდი განაახლა.

**ვანო კობიაშვილი**






**ბილის საერთაშორისო ტურნირი**

ბილი. შვეიცარია. 19 ივლისი — 1 აგვისტო

**VIII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 0:1 | ლენერ დომინგესი (კუბა) |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| იანიკ პელეტიე (შვეიცარია) | 0,5:0,5 | ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ) |

# კუბელმა რუსი დაბომბა

**ლენერ დომინგესმა** ევგენი ალექსეევი შავი ფიგურებით დაამარცხა და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. კუბელი უახლოეს მდევარ მაგნუს კარლსენს მთელი ქულით უსწრებს და ტურნირის მოსაგებად 1,5 ქულა სჭირდება.

დომინგესმა ალექსეევთან თამაში სიცილიური დაცვით არჩია, მეოთხე სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს და ლაზიერის ფლანგის განვითარებას შეუდგა. რუსი კუბელს ხელმწიფის მხრიდან მიაწვა, თუმც ვერაფერი დააკლო და უკან დაიხია. შავებმა იერიშზე ლედოფალი გაუშვეს, რომელმაც თეთრ მეფეს სამოძრაო გზები მოუსპო და 45-ე სვლაზე თავი დაახრევინა.

კარლსენმა ეტიენ ბაკროსთან ნახევარი ქულა დაკარგა და ალბად პირველ ადგილსაც გამოემშვიდობა. მოჭადრაკეებმა პარტია 31-ე სვლაზე დაასრულეს.

მასპინძელთა იმედებს ვერ ამართლებს იანიკ პელეტიე. შვეიცარელს 8 თამაშში 1 ქულა აქვს მონაგრებული და ბოლო ადგილს ხეხავს.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლენერ დომინგესი | 6 |
| 2. | მაგნუს კარლსენი | 5 |
| 3. | ევგენი ალექსეევი | 4,5 |
| 4. | ეტიენ ბაკრო | 4 |
| 5. | ალექსანდრ ონიშჩუკი | 3,5 |
| 6. | იანიკ პელეტიე | 1 |



# ქვიშა და რაგბი ქობულეთში

## ოვალური მასმედია

23-24 აგვისტოს ქობულეთში ქვიშის რაგბის მეორე ფესტივალი გაიმართება. შეჯიბრებაში რვა გუნდი ითამაშებს. ეს გუნდები ძირითადად მასმედიის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ტურნირზე საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, აჭარის ტელევიზია, „ვი თი ბი ბანკი", ტელესერიალი „ჩიფსების თაობა", ტელევიზია „საქართველო", ექიმები, რომელთაც წარსულში რაგბი უთამაშიათ და ასევე სპორტზე მწერალი ჟურნალისტები საკუთარ გუნდებს გამოიყვანენ. ამასთან დაკავშირებით კაფე „მსოფლიო სპორტში" გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ქვიშის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა მხეიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ დუგლაძემ, ფედერაციის წარმომადგენელმა ლევან ჯავახიშვილმა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვახტანგ ებრალიძემ ისაუბრეს.

*ლევან ჯავახიშვილი:* როგორც იცით, ქვიშის რაგბის ფესტივალი 23-24 აგვისტოს ჩატარდება. ტურნირი წელს უფრო სერიოზული გუნდებით იქნება წარმოდგენილი. ფესტივალი გაიმართება დევიზით — რაგბი ნარკომანიის წინააღმდეგ. იმედი მაქვს, დაძაბული და სანახაობრივი შერკინებები იქნება. შარშანდელმა ტურნირმა დაუვიწყარი მოგონებები და ემოციები დაგვიტოვა. ვფიქრობ, წელსაც იგივე განმეორდება. მომავალში კი ვგეგმავთ, რომ ტურნირი საერთაშორისო გავხადოთ.

*ზურაბ დუგლაძე:* დიდი მადლობა მათ, ვინც ტურნირის საორგანიზაციო საკითხებში გვეხმარება, განსაკუთრებით ჩვენს სპონსორებს. ვფიქრობ, მომავალში ფესტივალის გეოგრაფია გაფართოვდება. წელსვე ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ქალთა გუნდები, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ შევძელით მათი ტურნირში ჩართვა.

*ვახტანგ ებრალიძე:* აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სახელით ვამბობ, მოხარულები ვართ, ასეთ კარგ ამბავში რაღაც წვლილი რომ შევიტანეთ. ეს ჩვენი რეგიონის განვითარებაში წინ გადადგმული ნაბიჯია. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ტურნირმა ტრადიციული სახე მიიღოს.

**ზურაბ მიბრიაული**

### საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.



# სოფო შაფათავამ დნეპროპეტროვსკი გააგრძელა


სოფო შაფათავა

**უიღბლო** გამოდგა გუშინდელი დღე ქართველი ოქსანა კალაშნიკოვასთვის, რომელიც დნეპროპეტროვსკში მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზე თამაშობდა.

კალაშნიკოვამ კარგად დაიწყო, საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი მატჩი მოიგო, და თან სამჯერვე მასპინძელ უკრაინელებს აჯობა. ძირითად ბადეში პირველი წრეც გაიარა, მაგრამ ტურნირის მეორე წრეში მე-5 ნომრად განთესილ ესტონელთან მარგოტ რუუტელთან 6:7; 3:6 დამარცხდა.

სამწუხაროდ, კალაშნიკოვამ ვერც წყვილთა ეტაპი გაიარა, ჩვენიანის და ყირგიზი პალკინას დუეტი ლატვიელი კუზმინასა და რუსი პაშკოვას წყვილთან დამარცხდა.

სამაგიეროდ, დნეპროპეტროვსკული ჩოგნაობის პირველი წრე გაიარა სოფო შაფათავამ. კენიონი, თავიდანვე ძირითად ბადეში იყო განთესილი. შაფათავამ სლოვაკი ლენკა ვიენეროვა სამ სეტში 6:4; 5:7 4:6 დაამარცხა და მერვედფინალში მე-3 ნომრად განთესილ ბელარუს ეკატერინა პეჰალევიჩს შეხვდება.

ორ დღეში დასრულდა მანანა შაფაქიძის რუმინული ჩოგნაობა. ქალაქ არდაში მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე შაფაქიძემ გუშინ პირველივე წრეში 0:6, 4:6 წააგო სლოვაკ კატარინა პოლიაკოვასთან და ტურნირს გამოეთიშა. იქამდე კი ჩვენიანის და რუმინელი კადანტუს წყვილი უდაძაბულეს სამსეტიან რახარუხში, 7:6, 6:7, 9:11 დამარცხდა უნგრელების კირალასა და ნემეტის დუეტთან.

**ბაჩო სვანიძე**



# ანტიკური მსოფლიო უმედლოდ დაგვისრულდა

**თურქეთში** მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღე ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის ქართველთათვის კვლავ უიღბლო გამოდგა.

„ანტიკოსთა" ბიჭებისთვის თურქული ხალიჩა დანავსული აღმოჩნდა. გუშინ ოთხმა ფალავანმა იჭიდავა და ვერაფერს გამოკრა ხელი. არადა, ამ ბიჭებმა ახლახანს დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე შედეგიანად იჭიდავეს...

ქემალ ხარაბაძემ (55კგ) კორეელი სანგ-ვუ-ნამი დაამარცხა, მაგრამ მერე აზერბაიჯანელ ელჩინ ალიევთან წააგო. გიორგი ჩუმბაშვილმა (84კგ) ხარაბაძის მსგავსად ერთი მეტოქე დაჯაბნა: ეგვიპტელ აჰმედ ელაზაზის მოუგო და იაპონელ მასაიუგი ამანოს ვერაფერი მოუხერხა.

რამაზ ვაშაყმაძე (66კგ) თავიდანვე დამარცხდა სერბ ალექსანდრ მაქსიმოვიჩთან, ვინც მერე ფინალს უწია და ჩვენებურს რეპეშაჟში ბრძოლის გაგრძელების შანსი მისცა, მაგრამ ვაშაყმაძე იქვე დაიჩაგრა ბელარუს ილია კარპევთან. მძიმეწონოსანმა რამინ შაქარაშვილმა ესტონელი მადის საიმეტს აჯობა, მერე კი მასპინძელ რიზა კაიალპთან დამარცხდა. თავის მხრივ თურქმა ბრძოლა გააგრძელა და ქართველიც გაიყოლა, ვინც ამერიკელ პეტერ კოვალჩუკი წააქცია, მაგრამ ყირგიზ მურატ რამანოვს ვერაფერი დააკლო.

„ანტიკოსთა" ასეთი ჩავარდნა, მაინც გადაღლილობის ბრალია. ადვილი ნამდვილად არ არის ორკვირიან მონაკვეთში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატი მაღალ დონეზე იჭიდაო.

ხვალიდან ხალიჩაზე „თავისუფლების" ბიჭები გავლენ და იმედია „ანტიკოსთან" ჯავრსაც ამოგვყრიან. ამათ ევროპირველბაზე მეტოქეებიდან ქვა ქვაზე არ დატოვეს და მედლებს ახლა მსოფლიოს ჩემპიონატიდანაც ველით...

**ლექსო მაისურაძე**



# ნაადრევი პეკინი

## საქა-რთველო ბრაზილიას ავსტრიაში გასინჯავს




**პლაჟის** ფრენბურთში ოლიმპიადაზე ჩვენი ლიცენზიანტი წყვილები გეორ-გია და საქა-რთველო ახლა ავსტრიულ კლაგენფურტში არიან, სადაც ოლიმპიადის წინ, ბოლო სერიოზული ტურნირი, „დიდი სლემის" გათამაშება გახურდა.

კაცები, გეორ-გია ტურნირზე დღეს ითამაშებენ, გუშინ კი ჩვენმა ქალებმა დაიწყეს ავსტრიული ფრენბურთობა.

მსოფლიოს ეტაპებისგან განსხვავებით, „დიდი სლემის" ტურნირები ჯგუფური ეტაპით იწყება და მერე პლეი ოფებია. ამიტომ ქართველ ბრაზილიელებს მინიმუმ სამი მატჩის გამართვა მაინც მოუწევთ, რაც ცხადია ოლიმპიადის წინ ძალიან წაადგებათ.

გუშინ საქართველომ ჯგუფის პირველ მატჩში იტალიელები ჯიორია და მომოლი ერთ საათში 2:1 დაამარცხეს. მეორე მატჩში კი ტურნირის 32-ე ნომრებთან, ჩეხებთან ნოვაკოვასთან და ტობიასოვასთან თავად წააგეს — 0:2. ჩვენები ამ ტურნირზე მე-16 ნომრად არიან განთესილი.

დღეს, ჯგუფის ბოლო მატჩში, საქა-რთველო ასევე ბრაზილიელებს ჯულიანას და ლარისას ეთამაშებიან. სხვათაშორის, ჯულიანას და ლარისას წყვილი, პეკინის ოლიმპიადაზე ჯგუფშიც ჩვენებთან ერთად მოხვდა და პეკინში ჯგუფში პირველ ნომრად არიან განთესილები.

# რამაზ ნოზაძე: კაცი ვარ და ოქრო მინდა!

**ხვალ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები პეკინში გაემგზავრება. ზეგი დარჩიას ფალავნებიდან ოლიმპიადაზე საქართველოს ღირსებას ხუთი „ანტიკოსი" დაიცავს. ადრეც გვეწერა და ერთხელაც ვიტყვით, ჩინეთში ქართველი გულშემატკივრის იმედი დიდწილად მოჭიდავეებს უკავშირდება და ეს არცაა გასაკვირი...**

**ჩვენი ქვეყანა ოლიმპიადაზე 35 სპორტსმენს წარადგენს. იქ წარმატებით გამოსვლის შანსი ყველას სხვადასხვაგვარი ექნება და ეს ჩვეულებრივი ამბავია, ისიც არ არის გასაკვირი, მსოფლიოს უდიდესი თამაშების წინ გულშემატკივარი რომ თავის პროგნოზებს აკეთებს და ფავორიტებს ასახელებს.**

**35 ქართველი სპორტსმენიდან ზოგს მედალოსნებში საერთოდ ვერ მოიაზრებენ. ზოგს ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლია და მათგან მედლებს ელიან კიდეც. თუმცა არის კიდევ ერთი კატეგორია. ეს ის თითებზე ჩამოსათვლელი სპორტსმენები არიან, ვისგანაც არათუ ელიან, არამედ, ითხოვენ! ითხოვენ იმიტომ, რომ მათი ძალიან სჯერათ! სწორედ ასეთია რამაზ ნოზაძე (96 კგ), მსოფლიოს ჩემპიონი, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი... ოლიმპიადის, რომელმაც ქარველ გულშემატკივარს სიხარულიც მოუტანა და უკმარისობის გრძნობაც დაუტოვა. დღესაც ბევრი თვლის, რომ მაშინ რამაზ ნოზაძეს დევკაცი ეგვიპტელის წაქცევა შეეძლო!.. მას მერე ნოზაძემ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, კიდევ უფრო დაიხვეწა და ახლა ოლიმპიადის დაწყებას მოუთმენლად ელის. რამაზს გუშინ ვესაუბრეთ და ჯერ მაისში ევროპის ჩემპიონატზე აღებულ ბრინჯაოს მედალზე ვკითხეთ, მერე კი თავისთავად ოლიმპიადასაც გადავწვდით...**



— ევროპის ჩემპიონატს სასურველ ფორმაში ვერ შევხვდი, ტრავმა მქონდა. კუნთი იყო გაწყვეტილი და ამის გამო ჩემი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინე. კი, შემეძლო მომატება და უფრო კარგად ჭიდაობა, მაგრამ არ გავრისკე, რადგან შეიძლებოდა, ტრავმა გამიზეზებოდა. მართლა არ ღირდა გარისკვად, რადგან ოლიმპიადაზე მნიშვნელოვანი სპორტსმენისთვის არაფერია. ევროპის ჩემპიონატზე თავის გამოჩენის შანსი მერეც მექნება, მაშინ მხოლოდ ოლიმპიადაზე ვფიქრობდი. ოლიმპიადა კი არც ისე შორს იყო...

**— ტრავმა საბოლოოდ მოირჩინე?**

— ევროპირველობის მერე ნაკრებთან ერთად ყველა მოსამზადებელი ეტაპი სრულფასოვნად გავიარე. წახკაძორში მშვენიერ პირობებში ვვარჯიშობდით და მეც ბოლომდე ვიტვირთებოდი. ამის მერე ბორჯომული შეკრება იყო, ახლახან კი მინსკიდან დავბრუნდით, სადაც ორკვირიანი შეკრება გავიარეთ. იქ ჩვენ გარდა სომხეთის, ბელარუსის და საფრანგეთის ნაკრებებიც იყვნენ, საკმაოდ ნაყოფიერი ვარჯიშები გამოგვივიდა. მუდმივად გვქონდა საკონტროლო შეხვედრები და ეს ძალიან გამოგვადგა, ხარვეზები, რაც გვქონდა, მაქსიმალურად შემცირდა. ერთი ეგაა, ბოლოსკენ ფეხის კუნთი გავიწყვიტე და ორი დღე გამიცდა.

**— სერიოზული ტრავმა ხომ არ არის?**

— ექიმები დამტრიალებენ და საგანგაშო არაფერია, უკვე ჩვეულებრივ ვვარჯიშობ და ვიჭიდავებ კიდეც. უბრალოდ, ცუდი იყო ამ დროს ტრავმის მიღება...

**— რას ფიქრობ, როგორ ფორმაში ხვდები ოლიმპიადას. ტრავმებმა ძალიან შეგიშალა ხელი?**

— მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. პრობლემა არ მაქვს არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და ოლიმპიადის დაწყებას მოუთმენლად ველი. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა და მწვრთნელების დავალებას სრულად ვასრულებდი. რაც მთავარია, ახლა ბევრად თავდაჯერებული ვარ. საკუთარი ძალების უფრო მეტად ვირწმუნე და ეს ფაქტორიც მნიშვნელოვანია.

**— ათენის ოლიმპიადის მერე გამოცდილებაც შეგემატა და ახლა როგორ ხვდები თამაშების დაწყებას?**

— მაშინ პატარა ვიყავი და ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებდი. რა თქმა უნდა, უდიდესი გამოცდილება შევიძინე და ახლა, ცხადია, მეტს ვითხოვ საკუთარი თავისგან.

**— ეგვიპტელ იბრაჰიმთან შეხვედრა თუ გინდა, ათენის გამო რევანში რომ აიღო?**

— რატომაც არა, კაცი ვარ და სწორედაც რომ მინდა, დავეჭიდო. ისე, ეგაც ისეთივე კონკურენტია, როგორც სხვები. ყველა სერიოზულ მოწინააღმდეგედ მიმაჩნია, ეს ხომ ოლიმპიადაა. ჩემი მიზანია, ყველა ბრძოლის წინ სათანადოდ განვეწყო და გამარჯვებისვის ბოლომდე დავიხარჯო.

**— ოლიმპიადაზე ქართული დელეგაციის მედროშე იქნები...**

— ძალიან მიხარია. უდიდესი პატივია ჩემთვის და თან დამატებითი სტიმული. რაც უნდა იყოს, ისტორიაში შევალ. გავა დრო და იტყვიან, რომ პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს მედროშე მე ვიყავი, მართლა მეამაყება.

**— ამის გამო უფრო მეტ პასუხისმგებლობასაც ხომ არ გრძნობ?**

— არა. უბრალოდ, ვიცი, რომ ქართველი გულშემატკივარი ჩემგან მხოლოდ ოქროს მედალს ითხოვს. ახლა უფრო მეტს ელიან, ვიდრე ათენის ოლიმპიადაზე. მეც მინდა ჩემპიონობა და ამისთვის ყველაფერს გავიღებ. არც გამოცდილება მაკლია და არც ვინმეზე ნაკლები ვარ. ბედნიერი კაცი ვიქნები, თუ ჩემს ქვეყანას ოქროს მედალს მოვუტან.

**— ბევრისთვის ძნელია მსგავს სიტუაციაში ყოფნა, როდესაც მხოლოდ გამარჯვებას სთხოვენ.**

— კი, ასეა. ყველა სპორტსმენი თავისებური პიროვნებაა, მაგრამ მე სხვანაირი ტიპი ვარ. ასეთი რაღაცეები ნაკლებად მოქმედებს, რადგან მთავარი მხოლოდ ის საქმეა, რაც უნდა გააკეთო. ჭიდაობა ბავშვობიდან მინდოდა, ეს ჩემი ცხოვრებაა და ყველაფრისთვის მზად ვარ. უნდა გავიდე, ბოლომდე დავიხარჯო და გავიმარჯვო. მთავარია, ღვთის მადლით რაიმე პრობლემა არ გამომიჩნდეს და ჯანმრთელად ვიყო.

**— პეკინში წასვლამდე რას ეტყვი ქართველ ქომაგებს?**

— გამარჯვებისთვის მონდომებას არ დავიშურებ, რათა ქართველი ხალხი გავახარო. მათ კი ჩვენთვის ილოცონ, სანთელი დაანთონ და ყველაფერი კარგად იქნება...

**ლევსო მაისურაძე**





# ქართველი სპორტსმენები

რამდენიმე დღეც და, 35 ქართველი ოლიმპიურ თამაშებში ჩაებმება. რა თქმა უნდა, სამ ათეულ ოლიმპიურ მედალს არ ველით, მაგრამ იმის დიდი იმედი კი გვაქვს, რომ ქართულ ყულაბაში არაერთი მედალი ჩაიყრება. ამ 35 სპორტსმენიდან ოლიმპიური ჩემპიონი ერთია — ნინო სალუქვაძე, რომელმაც თავისი ოლიმპიური ოქრო 20 წლის წინ მოიგო. სალუქვაძე სხვა შედეგითაც გახლავთ გამორჩეული: ეს ოლიმპიადა მისთვის მეექვსეა და ამ შედეგით მსოფლიოში თითო ოროლა სპორტსმენი თუ დაიკვეხნის.

ახლა ჩამოვთვალოთ, ვისთვის იქნება პეკინის ოლიმპიადა სადებიუტო: რენატო გომეში, ჟორჟე ტერშეირო, კრისტინა სანტანა, ანდრეზა ჩაგაში, კახაბერ ჟვანია, ზაზა კედელაშვილი, საბა გავაშელიშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა, ლუბა გოლოვინა, რაულ ცირეკიძე, ალბერტ კუზილოვი, ბესიკ გოჩაშვილი, ლაშა გოგიტაძე, დავით ბედინაძე, ბადრი ხასაია. ოლიმპიადებზე მიღწევების მხრივ კი ესენი გამოვარჩიოთ: ნესტორ ხერგიანი ოთხი წლის წინ ვერცხლის მედალოსანი გახდა, ნინო სალუქვაძის ოქრო უკვე ვახსენეთ და იმავ სეულის ოლიმპიადაზე ნინომ ვერცხლიც მოიგო, ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონია ჩვენი დელეგაციის მედროშე რამაზ ნოზაძეც.

ეს რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებს, დელეგაციაში კი მსოფლიოს ჩემპიონებიც გვყავს: რამაზ ნოზაძე, მანუჩარ კვირკველია, დავით ბედინაძე, გიორგი გოგშელიძე, რევაზ მინდორაშვილი, ხუთგზის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ირაკლი ცირეკიძე.

მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორებს აქ აღარ ჩამოვთვლით. ისევე როგორც ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს. ერთი კი ვთქვათ: ჩვენს იმედს, რომ ქართველი სპორტსმენები პეკინიდან არაერთ მედალს ჩამოიტანენ, სავსებით მყარი საფუძველი აქვს.



ხათუნა ნარიმანიძე
მშვილდოსნობა
(70 მ)
02.02.1974



ქრისტინე ესებუა
მშვილდოსნობა
(70 მ)
19.03.1985



ილია გიორგაძე
ტანვარჯიში
(ძელიძა, ორძელი)
01.1978.12



მარიამ ქევხიშვილი
მძლეოსნობა
(ბირთვის კვრა)
17.1985.09



ნიკოლოზ იზორია
ჭიდაობა
(57 კგ)
31.08.1985



კახაბერ ჭვანია
ჭიდაობა
(69 კგ)
31.05.1983



ნესტორ ხერგიანი
ძიუდო
(60 კგ)
20.07.1975



დავით ქევხიშვილი
ძიუდო
(73 კგ)
05.01.1983



ლაშა გუჯეჯიანი
ძიუდო
(+100 კგ)
12.08.1985



ზაზა კედელაშვილი
ძიუდო
(66 კგ)
12.11.1985



საბა გავაშელიშვილი
ძიუდო
(81 კგ)
1987.12.15



ირაკლი ცირეკიძე
ძიუდო
(90 კგ)
03.05.1982



ლომერ ჭორჭოლიანი
ძიუდო
(100 კგ)
20.01.1988



ნინო სალუქვაძე
ტყვიის სროლა (25 მ პისტოლეტი, 10 მ პნევმატური პისტოლეტი) 02.01.1969



ანა სალნიკოვა
ცურვა
(100 მ ბრასი)
11.01.1987

# პეკინის ოლიმპიადაზე


ირაკლი რევიშვილი
ცურვა
(200 მ თავისუფალი)
11.03.1989


ლუბა გოლოვინა
ბატუტი
20.04.1990


არსენ კასაბიევი
ძალოსნობა
(94 კგ)
15.11.1987


მანუჩარ კვირკველია
ბერძნულ-რომაული ჭიდა-
ობა (74 კგ)
12.10.1978


რამაზ ნოზაძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა (96 კგ)
16.10.1983


ლაშა გოგიტაძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა (55 კგ)
04.06.1987


დავით ბედინაძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა (60 კგ)
05.02.1985


ბადრი ხასაია
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა (84 კგ)
24.09.1979


ოთარ თუშიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა
(66 კგ)
14.06.1978


გელა საღირაშვილი
თავისუფალი ჭიდაობა
(74 კგ)
11.07.1978


რევაზ მინდორაშვილი
თავისუფალი ჭიდაობა
(84 კგ)
01.07.1976


ბესიკ გოჩაშვილი
თავისუფალი ჭიდაობა
(55 კგ)
06.02.1983


გიორგი გოგშელიძე
თავისუფალი ჭიდაობა
(96 კგ)
07.11.1979


ალბერტ კუზილოვი
ძალოსნობა
(105 კგ)
05.02.1985


დავით ილარიანი
მძლეოსნობა
(110 მ თარჯრბენი)
21.01.1981


რაულ ცირეკიძე
ძალოსნობა
(85 კგ)
24.05.1987


გეორ (რენატო გომეში)
პლაჟის
ფრენბურთი
20.01.1981



გია (ჟორჟ ტერშეირუ)
პლაჟის
ფრენბურთი
19.07.1979


საკა (კრისტინა სანტანა)
პლაჟის
ფრენბურთი
27.05.1979


რთველო (ანდრეზა)
პლაჟის
ფრენბურთი
02.08.1977

# კაქტუსიდან დინამომდე

## თაობა რომ მოვიდეს, არჩილ ჟღენტი წავიდა

ყველა სპორტსმენს უდგება მომენტი, როდესაც უნდა წავიდეს და კარიერა დაასრულოს, ზოგი ამას ნაადრევად, ტრავმის გამო აკეთებს, ზოგი ასაკშეპარული კი დროულად ამჯობინებს გაცლას... წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი და ჩვენში ერთ-ერთი გამორჩეულმა კალათბურთელმა არჩილ ჟღენტმა შარშანწინ დაასრულა კარიერა, მაგრამ შარშან დაბრუნდა და სეზონი „დინამოში" ჩაამთავრა. თანაც 33 წლის არჩილ ჟღენტი გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. თბილისის „კაქტუსი", თსუ, რუსთავის „აზოტი", თბილისის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", სოპოტის „ტრეფლი", ეს ის კლუბებია, სადაც ჩია ტანის ამ მოუღლელმა გამთამაშებელმა თავისი კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. არჩილ ჟღენტს გუშინ საინტერვიუდ დავუკავშირდით, მით უმეტეს გაცილებით მეტსაც იმსახურებს...



— კარიერას დასრულება ერთხელ უკვე ცადე, მაგრამ დაბრუნდი...

— მაშინ, კალათბურთის თამაშს თავი რომ დავანებე, ჩემთვის გასართობად „დინამო 2"-ში ვვარჯიშობდი. „დინამო 2"-ის მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილთან ვმეგობრობ და მან შემომთავაზა ეგებ საქართველოს ჩემპიონატში ძირითად გუნდს დაეხმარო. ვგრძნობდი კიდევ შემეძლო თამაში და დავბრუნდი. მგონი ურიგო სეზონი არ მქონია...

— ურიგო კი არა, რამდენიმე მატჩი პირადად მოიგე...

— ისე გამოვიდა, რამდენიმე მატჩი მართლაც კარგად ვითამაშე. თუ რამეში გამოვადექი გუნდს ეს ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა.

— ხომ არ ნანობ, რომ კარიერა საბოლოოდ დაასრულე?

— არა, მწვრთნელობას ვაპირებ სერიოზულ დონეზე და თამაში დროს მართმევდა. ახლა „დინამოს" დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელი ვარ, თან „დინამოს" საკალათბურთო სკოლაში 1996 წელს დაბადებულ ბავშვებს ვავარჯიშებ. შარშან თურქეთში ვიყავი სამწვრთნელო სემინარზე, ახლაც იქიდან დავბრუნდი, ორი წელია თურქეთში დავდივარ ამ სემინარზე. საკმაოდ ცნობილი მწვრთნელები ჩამოდიან — ესპანეთის ნაკრების თავკაცი ერნანდესი, სერბი პეჟიჩი... მინდა მწვრთნელის სერთიფიკატი ავიღო და მაღალ დონეზე ვიმუშავო.

— თანაც ახლა დროებით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის ასისტენტი იქნები. ცხადია კიდევ უფრო მეტ გამოცდილებას მიიღებ...

— რა თქმა უნდა, ასეც არის. კოკოშკოვის ასისტენტი დავით უსტიაშვილი პარალელურად 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ახლა ლატვიაში ევროპის ჩემპიონატზეა ჩვენი კალათბურთის ფედერაციამ ხათრი გამიწია და მათი სურვილით, სანამ უსტიაშვილი ჩამოვა, კოკოშკოვთან მე ვიმუშავებ.

— მოდი, მოთამაშის კარიერასაც გადავავლოთ თვალი. ბევრ გუნდში გითამაშია და რომელი იყო შენთვის საუკეთესო სეზონი?

— ალბათ ის წლები, როდესაც რუსთავის „აზოტში" ვთამაშობდი. საჩემპიონო გუნდი გყავდა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ გვჩაგრავდნენ — ჩემპიონობა არ გვაღირსეს. მერე კი გახდა რუსთაველი კლუბი საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ ეს უჩემოდ მოხდა... ცხადია გამოვრჩევ ჩემს პირველ კლუბს თბილისის „კაქტუსს". 18-20 წლის ბიჭები ვიყავით. მე, ირაკლი ხოშტარია, ვახტანგ ნაცვლიშვილი, რეზო ჩხეიძე, ვასილ ოთიურიძე, ირაკლი თორთლაძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაშინდელი „კაქტუსი" უნიჭიერესი კალათბურთელებით იყო სავსე და ლამაზ კალათბურთს ვთამაშობდით.

— ლეგიონერული კარიერა კი ვერ აგეწყო...

— ეგ, ჩემი გამოუცდელობის ბრალი იყო. ერთხელ შევცდი და უცხოური კარიერა ვერ ავაწყვე.

— მაინც რა მოხდა?

— როდესაც მოსკოვის „სპარტაკში" გადავედი 20 წლის ვიყავი. მართლა კარგი სეზონი მქონდა. იმ დროს საქართველოს ნაკრებში გამომიძახეს და აქ ერთი კვირა მომიწია ყოფნა. თან პოლონური კლუბის ვარიანტი გამოჩნდა, სოპოტის „ტრეფლიში" მეპატიჟებოდნენ. უკეთესი შემოთავაზება იყო და მეც პოლონეთში წავედი. სოპოტში ერთი თვე ვიყავი, იქაურობას ვერაფრით შევეწყვე და ისევ „სპარტაკში" გადავწყვიტე დაბრუნება. მაგრამ ხომ იცით, როდესაც ერთ თვეს დააგვიანებ ჩასვლას, კლუბი უკვე ძველებურად აღარ გიყურებს. იქ დაბრუნება აღარ გამოდიოდა. სხვა ვარიანტი არ მქონდა, საქართველოში დავბრუნდი და დავრჩი და დავრჩი აქ.

— როდესაც საქართველოს ნაკრებში თამაშობდა, მაშინ მართლაც გამორჩეული თაობა შეიკრიბეთ, მაგრამ ახლანდელის არ იყოს ვერც მაშინ მიაღწიეთ წარმატებას...

— მაშინ ჩვენ A დივიზიონში ვთამაშობდით და ძალიან ბევრი სერიოზული მეტოქე დავამარცხეთ. თუ იმ დროის სტატისტიკას გადავხედავთ, წაგებული მატჩებშიც კი ბოლო წამებამდე ბრძოლა იყო. ჩვენზე დაბალრეიტინგიან გუნდებთან ერთი-ორი გამონაკლისის გარდა არ ვაგებდით, რადგან მაშინ ეროვნული ჩემპიონატი ახლანდელზე ბევრად უკეთესი დონის იყო. თითზე ჩამოსათვლელი გვყავდა ლეგიონერები და ნაკრების ბირთვი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა, ამით კონკურენციაც იზრდებოდა. ახლა პირიქითაა. ლეგიონერი რომ ჩამოდის, იცის რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს და ეს მას მოტივაციას უკარგავს. ამავდროულად მოტივაციას კარგავს აქ მოთამაშე კალათბურთელიც, რადგან იცის, რომ ნაკრებში მეორე ან მესამე ნომერი იქნება. ნაკრებმა წარმატებას რომ მიაღწიოს ეროვნული ჩემპიონატის დონემ უნდა აიწიოს. ამით კონკურენციაც გაიზრდება და მოთამაშეებიც უფრო მოტივირებულები იქნებიან.

— თქვი, რომ საბავშვო გუნდსაც ავარჯიშებ. კარგი თაობა მოდის?

— კარგი თაობა მოდის, მაგრამ ამ თაობას აღზრდა ხომ უნდა? რამდენიმე ნიჭიერი ბავშვი მყავს, მაგრამ თუ ესენი კარგ კალათბურთელებად არ ჩამოყალიბდნენ, ვის უნდა დაბრალდეს? ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა თქმა უნდა მე. მწვრთნელი ვარ და ნიჭიერი ბიჭები უნდა გავზარდო. ჯერ მწვრთნელობის ბევრი არაფერი ვიცი და ჩემს გამო ვინმე რომ არ დაიკარგოს, ამიტომაც მინდა, რომ დრო არ დავკარგო, ვისწავლო და თაობა ავღზარდო.

**ბაჩო სვანიძე**

# კოკოშკოვმა დებიუტი დამალა

**საქართველოს** კალათბურთელთა ნაკრები დღეიდან 4 აგვისტომდე დიღომში, „დინამოს" ბაზაზე საწვრთნელ შეკრებას დაიწყებს. ნაკრების ახალ თავკაც სერბ იგორ კოკოშკოვს საშუალება ექნება შეგირდები საქმეში ნახოს, ოღონდ ამჯერად მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთა დაკვირვება შეეძლება. ისიც ვთქვათ, რომ კოკოშკოვის განკარგულებაში ბევრი კალათბურთელები იქნებიან, რადგან სერბს ფედერაციამ გაფართოებული შემადგენლობით დაახვედრა.

ჟურნალისტებს პირველ ვარჯიშზე დასწრების საშუალება არ მიეცემათ, მერე კი ლოკომოტივის ვარჯიშებსაც ნახავენ, თუმც როდის ეს ჯერ გასარკვევია.

**ლექსო მაისურაძე**

# ტაირონ ელისის ევროგაელვება

**ესპანეთის** ჩემპიონატის უმაღლესდივიზიონელმა „ხირონამ" უარი თქვა რანგით მეორე ევროსაკლუბო ტურნირზე, „ულების თასზე" თამაშზე. „ხორონას" ფინანსურად ძალიან უჭირს, მწვრთნელ-მოთამაშეების სახელფასო დავალიანება აქვს და არც აქეთ-იქით სასიარულოდ მოეძიება ფული.

ჩვენთვის კი ეს ამბავი, იმიტომ არის საინტერესო, რომ „ხორონას" უარმა ევროთასებზე გზა გაუხსნა „კახასოლას", სადაც ჩვენი ნაკრების ნატურალიზირებული ამერიკელი გამთამაშებელი ტაირონ ელისო თამაშობს.

„კახასოლი" მესამე ესპანურ გუნდად ითამაშებს „ულების თასზე" და ტურნირს საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრიდან დაიწყებს.

**ბაჩო სვანიძე**




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge